



ISSN 1512-4649

ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 8 2007 წელი

1591
2007 №8


ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაღასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მენეჯერი)

საბანკო-მედიკოლო სიხლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები



შ.პ.ს ტაია

**მიბნალო-ქლასბანის
ქპრ-ფანჯრები**

პროფილები

ახსენ უპრები

ღაზბა-ღანადგებები

www.taia.ltd.ge

e-mail: taia.ltd@mail.ru

28-28, 899 45-66-93, 898 25-97-70 ქავჭავაძის ქუჩა №17



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

№ 8, 2007

მთავარი რედაქტორი:
ლოიდ ძარჩავა

Editor-in-Chief:
LOID KARCHAVA

სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი:
თემურ შენგელია -

Editor of the Scientific part:
TEMUR SHENGELIA -

პ. მეტე. დოქტორი, პროფესორი

Dr. Prof. of Economics:

სამრედაქციო კოლეგია

საქ. მეტე. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ამთანაშვილ სილაგაძე
ლელა ჩიქავა,

EDITORIAL BOARD

Corresponding-members of Academy of Science of Georgia:

AVTANDIL SILAGADZE, LEO CHIKAVA,

Dr. Prof. of Economics:

GIVI GAMSAKHURDIA, SIMON GELASHVILI,
REVAZ GVELESIANI, VASYL GORBACHUK

პ. მეტე. დოქტორები, პროფესორები:

ბივი გამსახურდია, სიმონ გელაშვილი,
რევაზ გველიანი, ვასილ გორბაჩუკი
(კიევი, უკრაინა), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია), შოთა ვეშაპიძე, ნუგზარ თოდუა, გოჩა თუბერიძე, მერაბ კაკულია, რევაზ კაკულია, ჰარალდ კუნზი (ბრანდენბურგი, გერმანია), რევაზ მანველიძე, იაკობ მესხია, ელგუია მეყვაბიშვილი, მირიან თუქაშვილი, მზია ღებურია, ლამარა ღოჭიაური, ლარისა კორგანაშვილი, მიხეილ ჩიქვილაძე, გიორგი წერეთელი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, მერაბ ხმალაძე, ჯამლეთ ჯანგავა, ჯანეტე ჰომესი (მაასტრიხტი, ნიდერლანდები).

WOLFGANG WENG (Berlin, Germany), SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR TODUA, GOCHA TUTBERIDZE, MERAB KAKULIA, REVAZ KAKULIA, HARALD KUNZ (Brandenburg, Germany), REVAZ MANVELIDZE, JAKOB MESKHIA, ELGUISA MEQVABISHVILI, MIRIAN TUKHASHVILI, MZIA QEBURIA, LAMARA QOQIAURI, LARISA KORGANASHVILI, MICHAEL CHIKVILADZE, GIORGI TSERETELI, NODAR KHADURI, ELENE KHARABADZE, ETER KHARAIHVILI, MERAB XMALADZE, JAMLET JANJGAVA, JEANNETTE HOMMES (Maastricht, Netherlands).

ბიორბი შინახვილი (თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის დოქტორი), თამაზ მამუკაძე (მეცნიერული მენეჯერის კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი), ბიორბი თხაპაძე (საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი), ლამარა ღებურია (საქართველოს აზღვრული ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, პ. მეტე. კანდიდატი, პროფესორი), ზვიად როშაძე (იურისტი).

GIORGI SHIKHASHVILI (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary), TAMAZ YASHAKIDZE (Manager of Club of Small Entrepreneurs, Executive Director of Union of Georgian Entrepreneurs), GIORGI ISAKADZE (Executive Director of Federation of Georgian Businessmen), DAVID NARMANIA (Chairman of Board of Association of Yang Economists of Georgia, Dr. Prof.), ZVIAD RO-GAVA (Lawyer).

შესა 4 ღარი

მოსამართლი: ჯორჯიასის ქ. №5
ტელ: 990-576
მისი: 855-277-554
ელ-ფოსტა: karchava-l@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge



რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს ინფორმაციის სისუსტეზე კახუნისმკვლელი ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად კურნალში გამოქვეყნებული მასალების გადათქვამა ან სხვა რაიმე სხვა გამოყენება დაუშვებელია.

ახალი ეკონომისტი



ეკო-ლაიჯუსტი	5
---------------------	---

მეცნიერება

რვაზ მანველიძე – ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგიერთი ფუნქცია	6
ლარისა დოლიძეშვილი – საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების გაფორმების წესები	14

მომავალი ეკონომისტის გვერდი

ძეთი სოხაძე, თიკო სოხაძე – მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	19
---	----

ახალი წიგნები

საპანონიმიკო სიახლეები	26
-------------------------------	----

ახალი ეკონომისტი

UDC(უაკ) 33+338.22
ა - 984

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2007 წ.,
© გამომცემლობა „ლიო“



ბიზნეს-გარემო საქართველოში
ბრიტანელი და ქართველი მშპმრტების აზრით

არის თუ არა საქართველოში ბიზნეს-გარემო მიმზიდველი? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ და უცხოელ ექსპერტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. თუკი ბრიტანელი სპეციალისტები და მედია თვლიან, რომ საქართველოში ხელსაყრელი ხანგეგმვის გარემოა, ადგილობრივი ექსპერტები ამ შეფასებას არ ეთანხმებიან და ზედმეტად გაზიარებულს უწოდებენ.

ბრიტანული გამოცემა "ფაინანსლ თაიმსი" საქართველოში შექმნილ საინვესტიციო გარემოს ვრცელ სტატუსს უძღვინის და აღნიშნავს, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციებისთვის თანდათან უფრო მიმზიდველი ხდება. ამის მიზეზია იაფი მუშახელი, იაფი ელექტროენერგია, მინიმალური ბიუროკრატია და სტაბილური ეკონომიკა. ექსპერტ რობერტ კრისტინანსენის აზრით, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოძიებას ქვეყნის წარმატების მთავარი დამადასტურებელი ფაქტორია. "ფაინანსლ თაიმსის" ინფორმაციით, 2006 წლის ბოლოს საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციები დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა, ყაზახეთმა და თურქეთმა განახორციელეს.

2007 წლის პირველ ნახევარში კი მედომირეობა შეიცვალა. კერძოდ, ამ პერიოდში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია დანიამ ჩადო. შემდეგ პოზიციებს იკავებენ ნიდერლანდები, ჩეხეთი, ყაზახეთი, თურქეთი და რუსეთი.

"ფაინანსლ თაიმსის" განმარტებით, საქართველოში ინვესტიციები როგორც კომერციული, ისე სტრატეგიული ხასიათისაა. კერძოდ, ქვეყანა რომელიც ცენტრალური აზიისა და ევროპის დამაკავშირებელ საკაბრო დერეფანს წარმოადგენს, ყველათვის მიმზიდველია.

კომპანია "მედლი გლობალის" დირექტორის, კაან ნაზლის აზრით, საქართველოს სექსპორტო არტერიებისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო მსოფლიოს უმსხვილესმა ნავთობკომპანიებმა და ეს დიდი თამაშის მხოლოდ დასაწყისია. "ფაინანსლ თაიმსის" ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში შემოსული ბევრი უცხოური კომპანიის უკან სინანდელი იქნება რუსული კომპანიები იდგნენ.

ქართველი ექსპერტები კი ავტორიტეტული გამოცემის შეხედულებას საქართველოს ბიზნეს-გარემოზე ეჭვის თვალით უყურებენ. ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, საინვესტიციო გარემოს საქართველოში მიმზიდველობა ნამდვილად აკლია და ამის დადასტურებაა ბოლო პერიოდში ბევრი უცხოური კომპანიის გარშემო ატეხილი აფორტაჟი.

- "მიხარია, როდესაც ცნობილი გამოცემები ჩვენს შესახებ წერენ, მაგრამ საქართველოში ეს ასე ნამდვილად არ არის. ჩვენთან მოდიან საეჭვო წარმომადგობის კომპანიები, ასევე საეჭვო ფინანსებით. იგივე "ენერჯო-პრო", რომელიც საერთოდ არ ვიცით, რას წარმოადგენს. მოკლედ, ჩვენთან თითქმის ყველა კომპანია საეჭვოა.

გაიხსენეთ რა დღე დააფუძნეს იმათ ვინც კი სერიოზული კომპანია იყო. "მეტრომედა" წავიდა, "სინოფერთან", "სონისთან" და "ბადაგონთან" დაკავშირებით უცნაურ სტენებს წავაწყდით. ახლა ივრინი "პროსტერ ენდ გემპლზე" მიიტანეს. ისინი ხაკმაოდ ავტორიტეტული კომპანიები არიან და სხვები ინფორმაციას და კონსულტაციას სწორედ მათგან იღებენ", - აღნიშნა ხუხაშვილმა.

მომზადებულია www.presa.ge-ს მიხედვით

25667

ახალი ამბოების

საქართველო
საინფორმაციო
ცენტრები
ბიზნესი



ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის
ზოგიერთი უწყვეტი

რეზაზ მანგალიძე

ეკონომიკის დოქტორი,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი



ახალი ეკონომისტი

დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში, მკვეთრად შეიცვალა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დამოკიდებულება ბიზნესისადმი. ჩვენის აზრით საქართველოში სწორედ, დღეისათვის საფუძვლიან ჩამოყალიბებას საჭიროებს ეკონომიკის, განსაკუთრებით სოციალური პროცესების მართვაში ბიზნესის როლის სტრატეგიული კურსის განსაზღვრა; ბიზნესის ძირითადი მოთხოვნების ორიენტირება წარმოებისა და შემოსავლების (მაგების) გაზრდისათვის, რაც თავის მხრივ მისაღწევს ხდის თვითეული სუბიექტის მიზანს - უკეთესად ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ.

უკეთესად ცხოვრების შესაძლებლობებს იძლევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს ბიზნესი. სწორედ ბიზნესის განვითარების დონეზე, მრავალფეროვნებაზე, მასშტაბებზე და გეოგრაფიაზე დამოკიდებული მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოება, საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გარანტიები.

ბიზნესი განვითარების პარალელურად სულ უფრო მეტი პასუხისმგებლობის ელემენტებს შეიძენს ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეთიკური და სოციალური ფაქტორებისადმი. სწორედ ამგვარი პასუხისმგებლო-

ბის ხარისხზე და შესრულების მექანიზმებზე დამოკიდებული საზოგადოების ინტერესების, მოთხოვნების თავსებადობის მდგომარეობა ბიზნესის პროგრამასთან.

ბიზნესის სოციალიზაციაში ბიზნესწრეების წარმომადგენლები ხედავენ მასშტაბების გაფართოების, სასურველ პარტნიორთა სიმრავლისა და სტაბილურობის, იმიჯის ამაღლების ელემენტებს, სოლო საზოგადოება - პიროვნების დაცვის საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებს. აღნიშნულის დადასტურებაა ის, რომ ბიზნესის სოციალიზაციის მაღალი ხარისხის საზოგადოებრივ მოთხოვნებზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, როგორც ცნობილი თეორეტიკოსების ისე საქმიანი წრეების წარმომადგენლების მიერ. მართალია მათი კონცეპტუალური თეზისები სხვადასხვა მიდგომებსა და სტრატეგიებს შეიცავენ, მაგრამ პრინციპი ერთი მიზნისაკენ - განვითარების გაწევა საზოგადოებაზე სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში - მიმართული.

ბიზნესის სოციალიზაცია, ანუ სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც დღეს სწორად მოიხსენიებენ, პირველ რიგში, ასევე გულისხმობს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარანტიის სულ უფრო მზარდ როლს. კერძო მეწარმეობა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ნაკლებად სიცოცხლისუ-

მეცნიერება

ნარინია, არაპერსპექტიულია, საზოგადოებრივი თვალსაზრისით არასრულფასოვნად ღვევალურია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (საშორ შემთხვევაში აფერხებს) მისი განვითარების მასშტაბებზე. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ საქმიანი წრეების ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგებას, საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გათვალისწინებას.

ჩვენი აზრით ბიზნესის სოციალიზაცია ანუ საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი ორიენტირება თავისთავში მოიცავს არაერთ საყურადღებო მიმართულებას. მათ შორის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- სოციალური პროგნოზირების სარეალიზაციო ღონისძიებების მაღალი ხედრითი წილი, რაც გულისხმობს სპონსორებს, ქველმოქმედებას, ფულადი გრანტების გამოყოფას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების რეალიზაციისათვის ფონდების შექმნას, ინვესტირებას, სოციალური სფეროს მარკეტინგულ გამოკვლევებს, სამედიცინო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებებს, როლებიც არ შედიან სახელმწიფო პროგრამებში ან რეალიზდება თანადაფინანსების პრინციპით და სხვა.

- ისტორიული და კულტურული პოტენციალის დაცვა-განვითარება, სპორტული ტრადიციების გაფართოება და სხვა;

- რესურსდამზოგავი და გარემოსდაცვითი ეკონომიკური პრინციპების დამკვიდრების შემუშავება-რეალიზაცია;

- რესურსული პირობების შექმნა დემოგრაფიული გაჯანსაღების, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სტაბილურობის, მომხმარებლის, ბიზნეს-პარტნიორებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების საქმიანი თანამშრომლობის კულტურის ეფექტიანობის ამაღლება.

ბიზნესის თანამედროვე სისტემა ცივილიზებულ ურთიერთსარგებლიან ურთიერ-

ობობაზეა აგებული, ამასთან თუ თვალს გადავაყვებით საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების განვითარების ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ის ფორმირდება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეკოლუციური ან ევოლუციური გარდაქმნების პარალელურად. ამ პროცესის ძირითად საფუძველს კი წარმოადგენს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა ომების, შტაბრიკების, კლასული ბრძოლის, ქონების ძალადობრივი მითვისებით და სხვა არაცივილიზებული გზებით. ნიშანდობლივია, რომ ცალკეული განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ამ პრინციპების ზოგადი ნიშნები დღესაც ელინდება და მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესის სოციალიზაციის ხარისხის ამაღლების ანუ ღვეალიზების, სამართლიანი მშვენიერების დამკვიდრების პროცესს.

სწორედ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოში საბაზრო პრინციპების დამკვიდრების შეფერხება და ეროვნული ბიზნესის განვითარებლობა ჩვენი აზრით განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეუფასებლობამ, ერთიანი საბაზრო სივრცის მიმართულებების გაუთვალისწინებლობამ, ჩრდილოეთი ეკონომიკისა და სახელმწიფო კორუფციის მაღალმა დონემ, თანმიმდევრული, მშვენიერი ეკონომიკური პოლიტიკის არქონამ და სხვა.

სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე ფართო გაგება მოიცავს კორპორაციულ ეთიკას, კორპორაციულ-სოციალურ პოლიტიკას საზოგადოებასთან მიმართებაში, გარემომცველი სუბიექტების პოლიტიკას, კორპორაციული მართვის პრინციპებს, მომხმარებელთა და მიმწოდებელთა უფლებების საკითხებს, პერსონალთან ურთიერთობებს.

დღეს არ არსებობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ერთი აღიარებუ-

ახალი მართვის



ლი განმარტება. ექველა განმარტების ხაერ-
თო ისაა, რომ ეს კომპანიის პასუხისმგე-
ბლობაა ხალხისა და ორგანიზაციების
წინაშე, რომლებთანაც დაკავშირებულია
მისი მოქმედება და ასევე პასუხისმგებლობა
საზოგადოების წინაშე მთლიანობაში.

ჩვენი აზრით ბიზნესის მხარედი სო-
ციალური პასუხისმგებლობა განპირობე-
ბულია არაერთი ფაქტორით, მათ შორის
მნიშვნელოვანია:

- სოციალური მიზნები, წარმოებისათვის
ახალი სტრატეგიების ფორმირება, წარმო-
ბით-მეურნეობრივი მოქმედება, რომელიც
ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ
ბაზრის კონკურენტუნარიანი საქონლისა
და მომსახურების მოთხოვნაზე, არამედ
სოციალური პასუხისმგებლობის კონ-
ცეფციის სარეალიზაციო ადამიანურ ღირ-
ებულებებზე;

- მეცნიერულ-ტექნიკური და წარმო-
ბით-ინვესტიციური პიზნეს სფეროების ინ-
ტენსიური განვითარებით, რომელმაც წაშ-
ლა სახელგარი ფინანსურ, საქონლურ, წარ-
მოებით, ინვესტიციურ, ინოვაციურ ურთ-
იერობებს შორის;

- ინტელექტუალურ კაპიტალზე მოთხ-
ოვნების ამძღვებით, მისი არსებობისა და
განვითარების მიმართ ახალი მოთხოვნების
წამოყენებით. ისეთი ახალი ტიპის მომხ-
მარებლის წარმოშობით, რომელიც ევკუძნება
არა მხოლოდ შემოთავაზებული საქონლის
(მომსახურების) ხარისხობრივ მონაცემებს,
არამედ კომპანიის ეთიკურ ქვეყას, სოციალ-
ურ და ეკოლოგიურ ფაქტორებს
(ნაწოდონე-ინდივიდის ღონე).

გლობალიზაციის პროცესებში, რომ-
ლებიც კომერციულ სუბიექტებს საშუაღე-
ბას აძღვეს სხვადასხვა ქვეყნებში გაზ-
არდონ თავისი შემოსავლები ბაზარზე
პოზიციების ზრდის ხარჯზე, შეიძლება
მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში
გამიიწვიონ გარღვეუები. საზოგადოება
ითიქოს გაიღო ელტად (მესაკუთრებად,

ხელმძღვანელებად, მსოფლიო მასშტაბის
კორპორაციების თანამშრომლებად) და
მოსახლეობად, რომელიც ემსახურება ეღ-
იტას. ერთის მხრეც ამ კლასებს შემოსავ-
ლებს შორის ასეთ მნიშვნელოვან გარ-
ღვეუებს (სხვაობას) არ გამოუწვევია მხ-
ვილი კორპორაციების მხრიდან რეაქციე-
ბი საზოგადოების დაცვის მნიშვნელო-
ბასთან, ცხოურების ხარისხსა და ღონის
ამძღვებასთან მიმართებაში.

მიგვაჩნია, რომ ბიზნესის სოციალური
პასუხისმგებლობის პოლიტიკის რეღვლიზ-
ცია აქტიურად იმოქმედებდა მოსახლეო-
ბის ცხოურების ღონისა და ხარისხის ამ-
აღღებაზე, მომხმარებლების ურთიერთო-
ბის შეღვლაზე სოციალურად პასუხისმგე-
ბელი კორპორაციებისადმი და ასევე, ქართუ-
ლი საწარმოების კონკურენტუნარიანობის
ზრღაზე მსოფლიო ბაზარზე, ბიზნესის
წარმოების ეთიკის ნორმებისა და სტან-
ღარტების გამოყენებით.

ჩვენი აზრით აღნიშნული მოთხოვნე-
ბის დაკმაღოფიღება შესაძლებელია შემ-
ღვეი ღონისძიებების გატარებით.

1. მიკროეკონომიკურ დონეზე:
 - ინტელექტუალური ბაზის ფორმირე-
ბა ერთენული კორპორაციების სოციალ-
ური პასუხისმგებლობის საკითხებზე, რაც
საშუაღებას მოგვეცემს რეღვლიზებული
იქნას მათი ადრიცხვი, ასევე მწარმოებლებს
შეუქმნის წარმოღვენას სოციალური პა-
სუხისმგებლობის არსზე, მის დანიშნულე-
ბაზე და წარმოქმნის მექანიზმზე;
 - რეგონებში ბიზნესის სოციალური
ორიენტაციისა და პასუხისმგებლობის
აქტიურ მხარდაჭერაზე;
 - იმ კომერციული სუბიექტების სიც-
ოცხღისუნარიანობის პირობების შექმნა,
რომლებიც სოციალური პასუხისმგებლო-
ბის პოლიტიკას ატარებენ.
2. მიკროეკონომიკურ დონეზე:
 - კორპორაციული პასუხისმგებლობის
სისტემისა და სტრატეგიის ფორმირება;

ახალი პირობები



- ბიზნესის მართვაში სოციალურ-კორპორაციული ტექნოლოგიების გამოყენება - დამქირავებლებისა და დამქირავებულების თანამშრომლობა.

3. ნანოდონეზე:

- ქართველი ინდივიდის - საზოგადოების წევრის მენტალიტეტის შეცვლა, რაც გამოიწვევს იმის გააზრებას, რომ მისი სოციალური დაცვა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით, არამედ პირადი მონაწილეობითაც. საკუთრების მექანიზმების გამოყენება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამადლებაში, რისი რეალიზაციაც ხდება თვითორგანიზაციით.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიული კურსი მოითხოვს ფინანსურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრიუ-სამართლებრივი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.

სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა ახლა ვითარდება. მეცნიერების, სახელმწიფო ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიების, მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ეტაპობრივად შემუშავებას საჭიროებს საზოგადოების კონსოლიდირებული პოზიცია სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე. მისი აპრობაცია ცალკეულ სუბიექტებში, რეგიონებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში საფუძველს შექმნის სპეციალური განონპროექტის შემუშავებისათვის.

სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის რეალებში, ასევე ბიზნესწრეებში სტატისტიკურად და ანალიტიკურად ვერ აისახება ბიზნესის მიერ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, მოგვარების მცდელობა, ფაქტობრივ შედეგებს, ის ფაქტორები რომლებიც ასტიმულირებენ ან აფერხებენ ამ პროცესებს. ძირითად მიზეზად არასაკმარისი სააღრიცხვო საქმიანობასთან ერთად ფაქტისა და მოვლენის

მომცველი ტერმინოლოგიების (დექლარაციის) პრაქტიკაში დაუმკვიდრებლობა მიგვაჩინავთ საქართველოში კეთილდღეობის არსა.

ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების ძირითადი არსი გამოიხატება საზოგადოებრივ კეთილდღეობაში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის უკუა მცხოვრებისათვის გაწეული ძირითად მომსახურებას და მიუწოდება საზოგადოების თითოეულ წევრს თანაბრად და გამოირიცხავს საზოგადოებისაგან იმ ეტაპს თუ, ვინ ღებულა მისი სახურებაზე „ძირითადად“ სარგებლობის უფლებას.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის დამახასიათებელ ძირითად თვისებებს მიეკუთვნება: „არაწინააღმდეგობრივად გამოყენებული კეთილდღეობა“ და „წინააღმდეგობრივი“ ანუ „გამოურცხავი“ კეთილდღეობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში „არაწინააღმდეგობრივად გამოყენებული კეთილდღეობა“ წარმოშობს განსაკუთრებულობას, რაც თავის გამოვლინებას პოულობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ძირითად თვისებებში. მას კონკრეტულ შემთხვევაში გააჩნია „საზღვრები“ ან კიდევ „არა აქვს საზღვრები“ ასევე შესაძლებელია ამ „საზღვრების მიუღწევლობა“

არაწინააღმდეგობრივი კეთილდღეობის გამოყენებისას ზოგჯერ პრაქტიკულად ადვილია მიეუთითოთ მისი საზღვრები-წევრებრივ ადგილობრივი მომხმარებლების დონეზე.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად კეთილდღეობა (საქონელი და მომსახურება) მომხმარებლისათვის ხდება მიუღწევადი და ეს ის მომენტია, როცა მას არა აქვს საშუალება, ან არ სურს, ან კიდევ არ არის მზად გადაიხადოს საქონელზე და მომსახურებაზე საბაზრო ფასი ე. ი. მოქმედებს „წინააღმდეგობრივი“ ან „გამოურცხავი“ კეთილდღეობა, რომელიც წარ-

თბილისი, 2007 წლის 10 იანვარი



მოდგენილია „უარის პრინციპით“. სწორედ ასევე შემთხვევაში იძლევა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების ამოქმედება.

კეთილდღეობა, რომელიც არ ფლობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამ „არაწინააღმდეგობრივ“ და „გამოურიცხავ“ კეთილდღეობას ეწოდება „ადგილობრივი კეთილდღეობა“ რაშიც მოიაზრება განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულზე მცხოვრები მოსახლეობისათვის კეთილდღეობის შექმნას.

ადგილობრივი კეთილდღეობის დონის ამადღებისა და მიხი ხარისხის გაზრდის მიზნით შესაძლებელია ხელისუფლებამ და მწარმოებელმა გასწიონ დამატებითი ხარჯები. მაგრამ, თუ, სახელმწიფო და მეწარმე მათზე შესაძლებს მოთხოვნის შესაბამისი მომსახურების ან საქონლის მიწოდებას, მაგრამ მათ არ გააჩნიათ მათი შექმნის და გამოყენების შესაძლებლობა, მაშინ შესაძლებელია ითქვას, რომ შექმნილია წინააღმდეგობრივი კეთილდღეობა. აღნიშნული იმაზე მიანიშნებს, რომ აქ ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მსყიდველობითი (გადაამხდელითი) უნარის მარმონიულობას.

სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე დგას დავალება სწორად შეაფასოს მოსახლეობის ტექნიკური მოთხოვნილება, განისაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი მომსახურების მასშტაბები და ბიზნესის მიმართ გაატაროს მასტიმულირებელი ღონისძიებები მის დასაფინანსებლად.

საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის დამახასიათებელია „უარის პრინციპის“ მიუღებლობა, რომელიც ხასიათდება კეთილდღეობის საერთო მანევენებლობით, კერძოდ მათ მიეკუთვნება:

- საყოველთაო ხელმისაწვდომი კეთილდღეობა;
- არაკონფლიქტური კეთილდღეობა;

• განუყოფელი კეთილდღეობა (დაუნაწილებლობა).

„საყოველთაო ხელმისაწვდომი კეთილდღეობა“ – ეს არ არის დამოკიდებული იმაზე თუ ვინ გასჯობს ინიცატორი მათი წარმოდგენისა „არაკონფლიქტური კეთილდღეობა“ – ეს კეთილდღეობა არის საზოგადოებრივი სუბიექტების სახდურების მოცულობაში სოციალური კეთილდღეობის გამოყენება. მაგალითად ყველა ადამიანს ყველა ადამიანს შეუძლია ისარგებლოს გზებით, სტადიონებით, ავტოსადგომებით ვიდრე ისინი არ იქნებიან ბოლომდე შევსებული. „განუყოფელი (დაუნაწილებლობა) კეთილდღეობა“ – ეს ის კეთილდღეობაა, როცა სოციალური ობიექტები ასრულებენ მის ფუნქციებს, როგორც ერთ მთლიანობაში. მაგალითად, კერძო იურიდიულმა პირებმა რამდენიც არ უნდა გადაიხადოს ადგილობრივ ბიუჯეტში, საიდანაც ფინანსდება ობიექტების მშენებლობა, მის წილს ისინი უკან არასოდეს არ მიიღებენ.

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში წარმოიშვა ეროვნული მეურნეობის ყველა სექტორის სოციალური ურთიერთობის საფუძვლიანი რეფორმების აუცილებლობა. ეს განსაკუთრებით შეეხო, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ და არაკომერციულ ეკონომიკურ სუბსექტებს. ყალიბდება სოციალური პრობლემების გადაჭრის ახალი მექანიზმი, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სოციალური პარტნიორობის უწყობტური ფორმების გამოყენებას. სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ბიზნესის სუბსექტებს შორის.

სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობათა და არასაკმარისობით გამოწვეული დისპროპორცია ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებაში მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სრულყოფილ და

ახალი მარონიულობა

მეცნიერება

მასშტაბურ რეალიზაციას. მეორეს მხრივ იზრდება ისეთი ბიზნესის სვეტონების რიცხვი, რომელთა მესაკუთრეების და მონაწილეებს გათვალისწინებული აქვთ, ისე როგორც რეგიონში ასევე მოლიანად ქვეყანაში მყარი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის აუცილებლობა, ის რომ მათი ბიზნესის პროდუქციისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი ცხოვრობს და შრომავს განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეში. ჩვენის აზრით სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გამო ბიზნესის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვას სურვილს და აუცილებლად თელს მონაწილეობა მიიღოს სოციალური საკითხების დროულად და სრულყოფილად მოგვარებაში ანუ ბიზნესის სხვა ძირითად მიზნებთან ერთად მიეცეს სოციალური დატვირთვა და დაეკისროს სოციალური პასუხისმგებლობა.

მისანაწილად მიგვიჩნია ცალკეული რეგიონების მიხედვით შემუშავდეს პროექტი სახელწოდებით - „ბიზნესის სოციალური ინვესტიციები“. პროექტში ხელშეწყობდეს განიხილება ისეთი განაკვეთები, როგორცაა „პერსონალის განვითარება“, „რესტრუქტურისაციის სოციალური პასუხისმგებლობა“, „ყოფითი პირობების განვითარება“, ბუნებისდაცვითი საქმიანობა და რესურსების დაზოგვა“, „შრომითი არსებობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა“, საქმიანი ურთიერთობები და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა“ და სხვა.

პროექტის ძირითად ასპექტად მოვიაზრებთ კონკრეტულ რეგიონში კორპორაციული სოციალური უსაფრთხოების სტანდარტების სრულყოფას, კომერციული სტრუქტურების საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებას, საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზაციას, ბიზნესის სო-

ციალური ინვესტიციების გაუმჯობესებას, სოციალური ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას და სხვა.

ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარება თანამედროვე ეტაპზე აქტიურად აყენებს საკითხს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ახალი ამოცანების თაობაზე. ამ ეტაპის ძირითად მახასიათებლად მიგვიჩნია წარმოების ფაქტორებში ადამიანის როლის მკვეთრი ცვლილება, რომელიც წარმოება შრომითი და საურთიერთობო პროცესებში შემოქმედებითი და პიროვნული ფაქტორების მნიშვნელობის ზრდის მიმართულებით. ამავ დროს ძალის იკრეფს შრომითი ბაზრის ტრანსფორმაცია მრავალფარიანი და მოკიდებულიებით ხაზგაშთა ძალის მიმართ, მეორეს მხრივ მცირდება მცირდება სტაბილურად დასაქმებულთა ხვედრითი წილი, როგორც სახელმწიფო ასევე კორპორაციულ სექტორში, სწრაფად იცვლება შრომითი ურთიერთობების ნორმები და სტანდარტები. შრომითი რესურსების კვადრიტიკის დონეზე მოთხოვნილების ამადლებამ შრომის ბაზარზე განსაკუთრებით პერიფერიებში, მასშტაბები წარმოიქმნა უკიდურესად დაბალშემოსავლიანი ფენა, უარეს შემთხვევაში კი კატეგორია, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ხანგრძლივ უმუშევართა კატეგორიას.

თანამედროვე საზოგადოებაში სწორედ ბიზნესის სოციალიზაციის პროცესმა უნდა შეასრულოს ორი ძირითადი ფუნქცია - ფუნქცია დაცვისა და ფუნქცია განვითარებისა. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ამ ფუნქციების ძირითად ნაწილს ასრულებს საბიუჯეტო საგადასახადო ხისტემა. კერძოდ ამ მიზნებისათვის აშშ-ში და იაპონიაში გამოიყენება მთლიანი პროდუქტის 1/3, საფრანგეთსა და იტალიაში 1/2 და სხვა. სოციალური დანიშნულებით სახელმწიფო აშშ-ში ხარჯვის მთლიანი პროდუქტის 20%-ს დასავლეთ ევროპის ქვეყნების კი

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



30%-ის ფარგლებში. ასევე სხვადასხვა ფორმით გამოიყენება საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მწარმოებლური და არამწარმოებლური სფეროების განვითარებისათვის.

თანამედროვე ბიზნეს-სტრუქტურების განვითარებაში დიდი კორპორაციების როლი, შესაბამისად მეტად აქტუალურია „ბიზნესის“, „ფირმის“ და სოციალურად პასუხისმგებელ კორპორაციასთან“. ნიშანდობლივია, რომ დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომისტების დიდი ნაწილი აყალიბებს საყურადღებო მოსაზრებებს და ამტკიცებს, რომ ბიზნეს-სტრუქტურების განვითარება შეუქცევად უკავშირდება თანამშრომლობის, ინოვაციურობის, ცვლილებების მართვის მაღალი დონის, კორპორაციული კულტურის სიმბიზის და როგორც შედეგი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის აუცილებლობას.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტები ზოგიერთ თავისებურ ნიშნის მიხედვით კერძოდ:

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საბაზო თანმიმდევრობა (რიგითობა)

ეკონომიკური რიგითობა:

- ეკონომიკის მართვის წესი;
- ეკონომიკის რეგულირების ორგანიზაციული მოწყობა;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის;
- ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების მართვის ინსტიტუტები, მათი პასუხისმგებლობის ხარისხი.

- საკუთრების უფლებების რეგულირება;

- ფულადი და საჯალუტო ურთიერთობების წესრიგი;
- კონკრეტული გარემო;
- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება.

სოციალური წესრიგი:

- სოციალური პასუხისმგებლობის დამდგენი ინსტიტუტების ფუნქციები;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დადგენა და საზოგადოების ფუნქციების სოციალური ურთიერთობები;
- სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მონიტორინგი.



- შრომის ბაზარზე წესრიგი;
- სოციალური დახმარებისა და სოციალური დახმარების სფეროში წესრიგი;
- ქონებრივი ურთიერთობების სფეროში წესრიგი;
- საყოფაცხოვრებო სფეროში წესრიგი;
- ეკოლოგიური წესრიგი.

სწორედ კვლევის შედეგების განზოგადოებით XXI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ორი მოდელი: პირველი – ევროპული, რომელიც წარმართვედ როლს ანიჭებს სახელმწიფოს და მეორე – ევროპული, რომლის მიხედვით სოციალური ფუნქციის დიდი ნაწილი მოდის ანუ ამ ფუნქციებს თავისთავზე იღებს კორპორაციული სისტემა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უნდა გამოიყენონ ამ მოდელების კომბინირებული ვარიანტი, რაც პირველ რიგში ბიზნესის განვითარებისადმი სახელმწიფო ხელშეწყობა

ახალი მაონომისტი



შექანისებების შექმნაში უნდა ვვლინდებოდეს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ არასაბაზრო (არამწარმოებლური სფეროს) ურთიერთობების გაფართოებათა კავშირად იწვევს წინააღმდეგობებს ისეთი სტანდარტული პრინციპის მიმართ როგორცაა: ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკური მიმართულება ეფუძნება იმას, რომ ეკონომიკას არ ძალუძს ერთდროულად დააბალანსოს ეკონომიკის ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნები, რადგანაც ბაზარი აქვეითებს სოციალური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობებს.

სწორედ აღნიშნული წინააღმდეგობების აღტერნატივად შევეცადეთ ზემოთ მკითხველისათვის აგვესხნა „აქრომ“ და „საზოგადოებრივი“ კეთილდღეობის ძირითადი თავისებურებებით.

სწორედ კორპორაციული მმართველობა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური ურთიერთობების შერბილების საფუძველი და ფორმა და ის არ მივაკუთვნოთ კორპორაციული შერბილების ჩვეულებრივ არსს.

ბიზნესის სოციალური უსაფრთხოების სტრატეგია ჩვენი აზრით უნდა მოიცავდეს:

1. მიკროდონეხე:

- მომუშავეებისა და მათი ოჯახების სოციალური პაკეტების მომზადება;
- კვალიფიკაციის ამაღლებას პრობლემების შემუშავება-რეალიზაცია;
- სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ერთვნიული კონცეფციის შემუშავების ხელშეწყობა.

2. რეგიონალურ დონეზე:

- რეგიონალური განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია;
- სონსორებისა და სხვადასხვა სახის დახმარებების ხისტიმის შექმნა;

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალური ფონდის ფორმირების სტიმულირება;

- სოციალურად პასუხისმგებლური მიდგომის ბიზნესისა და წარმატებული სოციალური პარტნიორული ურთიერთობების მიმართ პოზიციები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების წახალისება.

3. მიკროდონეხე:

- ბიზნეს-კავშირების, ასოციაციების და კორპორაციების განვითარების კორდინაცია;

- კონსულტაციის ცენტრის შექმნა და რეგიონალურ დონეზე აქტიური ფუნქციონირების ხელშეწყობა;

- სოციალური ინვესტიციების წახალისება;

- მიზნობრივი სოციალური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის წახალისება;

- სახელმწიფო სოციალური პროგრამები რეალიზაციის მონიტორინგი.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტიანობა და ქმედითობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამოქალაქო ინსტიტუტების, ბიზნეს-საზოგადოებების, კორპორაციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოების ერთიან ძალისხმევაზე და იმ შექანისებების კომპლექსურობაზე, რომლებსაც ძალუძთ უზრუნველყონ საზოგადოებრივი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ფორმირება, როგორც ქვეყნის მასშტაბით ისე რეგიონალურ დონეზე.

გიორგი ბერიძე



სახელმწიფო ბასაბზაზნი დოკუმენტების გაფორმების წესები

ლარისა დოლიგაზვილი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი

სახელი პატრონი

სახელმწიფო ბასაბზაზნი საქმიანი წერილების შედგენის ფორმალურ მხარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ მიმოწერის ეტიკეტის დაცვას მეტი ყურადღება სჭირდება. ამით ჩვენი თავიზიანობა და პარტნიორის პატივისცემა გამოიხატება.

ყოველგვარი წერილი კონვერტზე მისამართის აღნიშვნით იწყება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონვერტის რამდენიმე ფორმა არსებობს. საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ნაკლები ზომის DL (110მმX220მმ), უფრო ნაკლები ზომის Monarch (98მმX190მმ), დიდი C₃ (160მმX229მმ) და C₄ (230მმX330მმ), ფორმის კონვერტები. სამსახურებრივი დოკუმენტები იქმნება სტანდარტული ზომის და ფორმის ქაღალდზე. ყველაზე გავრცელებული ზომის ქაღალდებია (მმ-ში): ა-3 (287X420); ა-4 (210X297), ა-5 (148X120), ა-6 (74X105) და სხვ. იმისთვის, რომ წერილი დანიშნულებისამებრ დროულად მივიდეს, მისამართის სრულყოფილად მითითებაა საჭირო. ადრესატის მისამართი იწყება ორჯერ: კონვერტზე და თავთ წერილზე ზედა მარცხენა კუთხეში. უცხოეთის ქვეყნებში მიღებული წესის თანახმად, ადრესატის მისამართი ბეჭდური ასოებით კონვერტის ქვედა მარცხენა კუთხეში უნდა მითითდეს. თავისუფალი ადგილი ზედა მარჯვენა კუთხეში მარკებისა და საფოსტო ბეჭდებისთვისაა განკუთვნილი. გამგზავნის მისამართი კონვერტის ზედა მარ-

ჯვენა კუთხეში ან კონვერტის უკანა მხარეს მითითდება.

თუ წერილს ისეთ კონვერტში ათავსებთ, რომელსაც გამჭირვალე ფანჯარა აქვს, მისამართი მხოლოდ ერთხელ წერილის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა დაიწეროს. ამასთან წერილი კონვერტში ისე უნდა ჩაიდოს, რომ მიმღების მისამართო კონვერტის გამჭირვალე სერეცში ნათლად გამოჩნდეს. კონვერტში წერილი ორ ან სამ ნაწილად ისე უნდა იყოს გაქცილი, რომ ტექსტი შიგა მხარეს მოექცეს.

შემდეგ აუცილებელია ადრესატის ინიციალებისა და გვარის დაწერა. პირველად იწერება ინიციალები, შემდეგ გვარი. თავიზიანობა მითხოვს ინიციალების წინ შემოკლებით დაიწეროს: "ბ-ნ" (ბატონ), "ქ-ნ" (ქალბატონ) ან "ბ-ნის" (ბატონებს).

თუ წერილი ფორმას ეგზავნება, მაშინ მისი სახელწოდების წინ დაისმის სიტყვა Messrs (ფრანგული სიტყვის Messieurs (ბატონებო) შემოკლებული ვარიანტი. თუ წერილის ადრესატი მამაკაცია, მაშინ მისი გვარის წინ იწერება სიტყვა Mr., რომელიც წარმოადგენს Mister-ის შემოკლებულ ვარიანტს და რომელიც სრულად არახილდეს არ იწერება.

ინგლისში გვარის შემდეგ Mr-ის ნაცვლად ზოგჯერ წერენ სიტყვა Esq, რომელიც წარმოადგენს Esquire-ს შემოკლებულ ვარიანტს (ესკვიარი საპატიო ტიტულია საფრანგეთსა და ინგლისში.) ადრესატის სათავადასნაურთ ტიტული მხოლოდ კონ-



მეცნიერება

ვერტზე მიეთითება. შემოკლებული მიმართვის ფორმების შემდეგ, როგორც წესი წერტილი დაიხსის. (მაგ: Mr. Esq. messrs. და ა.შ.).

თუ წერილი იგზავნება გათხოვილ ქალს (ინგლისში, აშშ-ში), მაშინ გამოიყენება სიტყვა Mrs. (მისის - ქალბატონი), რომელსაც მოჰყვება ადრესატის სახელი და გვარი. გაუთხოვარი ქალისადმი მიმართულ წერილში იხმარება სიტყვა Miss. (მისი - ქალბატონო), რომელსაც სახელი და გვარი მოჰყვება, ყინაიდან ის შემოკლებული სიტყვა არ არის წერტილის დასმას ბოლოში არ საჭიროებს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულია პირველად სახელის, ხოლო შემდეგ გვარის დაწერა, თუმცა არის გამონაკლისიც მაგალითად, უნგრეთსა და ჩინეთში ჯერ წერენ გვარს, შემდეგ სახელს.

თუ ადრესატს რაიმე საბატიო ტიტული ან წოდება აქვს, როგორიცაა დოქტორი, გრაფი, მეცისტრი და ა.შ., მაშინ მიმართვა "ბატონოს" ნაცვლად მისი ტიტული ან წოდება უნდა მიეთითოს. სახელდობრ პროფესორ პ. ხაიდეულს, დოქტორ ნ. ბორს და ა.შ.

საქმიან მიმწერაში თავაზიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: Dear Sirs - ბატონებო, პატივცემულო ბატონებო, Gentlemen - ბატონებო - მიმართვის ეს ფორმა უმრავლესად აშშ-ში იხმარება. ინგლისში უმეტესად გავრცელებულია: Dear Sirs - ბატონებო.

თუ წერილი მხოლოდ ადრესატმა უნდა მიიღოს, საჭიროა გვარის შემდეგ კონვერტზე მიანიშნოთ "პირადი" (ინგლისში - "Private", აშშ - "Personal" ან ორივეში "Confidential"). კონვერტზე შეიძლება მიეთითოს "სასწრაფოდ" (Please Forward), თუ წერილს სხვა პირიც უნდა გაეცნოს "საყურადღებოდ" (Attention). თუ არ იციან მისამართი და წერილი მოითხოვს სხვა მისამართზე გაგზავნას მიუთითებენ "გთხოვთ გადაგზავნოთ" (C/O). P&P ნიშნავს გაგზავნისა და შეფუთვის ხარჯებს. LOI - საგარანტიო წერილს, მცირე მოცულობის ბროშურების ან ბუკლეტის გაგზავნას, "ნაბეჭდი პროდუქცია" და ა.შ.

ამის შემდგომ საჭიროა იმ ორგანიზაციის დასახელების დაწერა, სადაც მუშაობს ადრესატი, შემდეგ უნდა მიეთითოს ფირმის საფოსტო მისამართი: სახლის ნომერი, ქუჩის, ქალაქის, შტატის, საგრაფოს, მხარის და ქვეყნის დასახელება. საფოსტო ინდექსი (Zip Code-აშშ-ში, PO (Post Office) დიდ ბრიტანეთში; საქართველოში ბოლო წლებში ექვსნიშნა საფოსტო ინდექსი შეცვალა ოთხნიშნა რიცხვმა (მაგ., 0115).

საქმიანი წერილი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც იწერება ორგანიზაციის დადგენილი ფორმის სტანდარტულ ბლანკზე. სტამბურად დაბეჭდილი ბლანკი შეიცავს წერილის გამგზავნი ორგანიზაციის ან ფირმის დასახელებას და მისამართს, აგრეთვე ტელეფონის და ფაქსის ნომრებს, ტელეკაბის ნომერსა და პირობით სახელწოდებას, კომერციულ კოდებს და ა.შ. (Ext - ტელეფონის დამატებითი ნომერი, Reg- ფირმის რეგისტრაციის ნომერი, & - ამპერსანდს "და" ფუნქციით, Cable - ხტელეგრაფო მისამართი, Ap - აპარტამენტი, @-at "დან-მდე" ფუნქციით)

გამგზავნი ფირმის რეკვიზიტების ოდნავ ქვემოთ, მარჯვენა მხარეს, წერილის გაგზავნის თარიღი იწერება. თარიღის გაფორმების რამდენიმე წესი არსებობს. მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტით: წელი, თვე, რიცხვი 2007.12.25. თვის ჩაწერა სიტყვებითაც შეიძლება (2007 დეკემბრის 25).

ინგლისური წესით: რიცხვი - თვე - წელი (25.12.2007) ასეა ეგროპაში, საქართველოში, რუსეთში და სხვ.

ამერიკული წესით: თვე (იწერება ხიტყვებით) რიცხვი და წელი. დეკემბრის 25.2007. თვის მიმნიშნებელი არაბული ან

სახელი მკურნალობა



სახალი მარცხენა

ლათინურ ციფრების შემოკლება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული არ არის. კარგი იქნება თვეს თუ ციფრით არ აღნიშნაეთ, კინაიდან როგორც ზემოთ აღნიშნეთ სხვადასხვა ქვეყანაში თარიღის გაფორმების სხვადასხვა წესი და ამიტომის სხვადასხვაგვარად იქნება გაკეპული და გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს. ასე მაგალითად, თარიღი 6.5.2007 – ამერიკელისთვის არის ივნისის 5.2007 წლისა, ინგლისელისთვის 2007 წლის 6 მაისი.

თუ წერილი იგზავნება დიდ ბრიტანეთში, რომელიმე დასახლებულ პუნქტში, მაშინ ქალაქის, სოფლის და ა.შ. დასახელების შემდეგ სრულად ან შემოკლებით იწერება საგრაფოს დასახელება.

აშშ-ში გასაგზავნ წერილზე აუცილებელია მითითებულ იქნას შტატი, რადგონაც ამ ქვეყნის სხვადასხვა შტატში ბევრი ერთნაირი დასახელების ქალაქი არსებობს.

თვით წერილი იწვეება მარცხენა ზედა კუთხეში წერილის მიმღები პირის ქვემოთ, ადრესატის მისამართის სრული მითითებით (როგორც კონვერტზე). უფრო ქვემოთ, აბზაცის გარეშე, მარცხენა მხარეს იწერება თავაზიანი მიმართვა, იგი ტარდ-იცოვლად საში სიტყვისაგან შედგება “ძვირფასო ბ-ნო (ან ქ-ნი) + გვარი”, “ბატონებო” და სხვ. თავაზიანი მიმართვის შემდეგ იწერება მიმღე და არა მახილის ნიშანი. წერილშიც გამოიყენება შემოკლებული აღნიშვნები (მაგ. Ref. “Reference”) რაც ქართულად ნიშნავს “პასუხად”.

ამის შემდეგ იწვეება წერილის ტექსტი, რომელიც კომპლიმენტით მთავრდება (Yours Fait fully, Fait fully yours, Yours very truly), რაც ქართულად “პატივისცემით” გამოისატება, ასევე შეიძლება “გულწრფელად თქვენი”, “კეთილი სურვილებით” და ა.შ. მიეწეროს.

კომპლიმენტის ქვემოთ 2-2.5სმ დაშორებით იბეჭდება წერილის ადრესანტის (გამზ-

ავების) თანამდებობა და გვარბრუნისა და საცხელი მიუწერება.

თუ წერილს რაიმე მასალა ან დოკუმენტი უნდა დაერთოს, ისინი ფურცლის მარცხენა მხარეს დანართის მინიშნებით და თითოეულ ფურცელთა რაოდენობის მითითებით უნდა ჩამოითვალოს: მაგ. “დანართი 1 კონტრაქტი (5 გვ.); 2 – საღალღეულო პოლისი (3 გვ.)” და ა.შ. (Encl-enclosed, enclosure –დანართი).

დანართის ქვემოთ საჭიროების შემთხვევაში იწერება წერილის პირის (ასლის) მიმღების გვარი და თანამდებობა.

თუ დაწესებულების ხელმძღვანელის (ფირმის პრეზიდენტის ან მენეჯერის) ნაცვლად ხელს აწერს თანაშემწე, მდივანი, იწერება P.P “დავალებით” (Prepr), ხოლო თუ წერილი სხვა გვერდზეც ვრცელდება შეიძლება შეგვცხედეს ასეთი აბრევიატურა PTO “გთხოვთ გადააბრუნოთ ფურცელი.” MORE, Continuation გაგრძელება შემდეგ გვერდზე. უცხოეთში გასაგზავნ დოკუმენტების კომპიუტერული (“ბლოკური”) ხელით გაფორმებისას ხელმოწერები ტრადიციული მარჯვენა მხარის ნაცვლად, მარცხენა მხარეს კეთდება. ხელმოწერის ქვეშ ერთ ხაზზე იწერება გვარი, იქვე ფრხილვებში Mrs ან Miss და შემდეგ სტრიქონზე თანამდებობა.

საქმიან სამყაროში დამკვიდრებულია წერილის გახსნის შემდეგი წესი: ფირმის ხელმძღვანელი მას ხსნის ზედა მხრიდან, ხოლო მდივანი – ვიწრო მარჯვენა მხრიდან. ზოგიერთი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ამ წესს ვვეღვან იცავენ.

უკანასკნელ წლებში კომუნიკაციური ტექნიკის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პარტნიორებს შორის საქმიანი მიმოწერა, კარგად შედგენილი საქმიანი წერილი და შიდა სამსახურებრივი ჩანაწერი უფრო იშვიათი ხდება. ბევრისთვის უფრო ადვილია ადამიანთან ზეპირი ურთ-



იერთობა, ვიდრე საქმიანი წერილის დაწერა. დღეისთვის საქმიანი წერილები და სამსახურებრივი ჩანაწერები ახალ მნიშვნელობას იძენს და ხშირად ორგანიზაციის სამომავლო ტაქტიკის საფუძველი ხდება.

კარგად დაწერილი და გაფორმებული კორესპონდენცია ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყოველი წერილი მკაცრად ინდივიდუალურია. მის შინაარსზე გავლენას ახდენს თვით ადრესატი, კონკრეტული სიტუაცია, წერილის ავტორის პიროვნება და თანამდებობა. ეს საქმე გარკვეული ფორმით შემოქმედებით ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საქმიანი წერილის შედგენის ზოგადი მოთხოვნები:

- იგი უნდა იყოს მკაფიო და ღიაკონურით. მაქსიმუმ 1,0-1,5 ნაბეჭდი გვერდი;
- რთული სიტყვებისა და ბუნდოვანი აზრების გარეშე;
- მან უნდა ასახოს ორგანიზაციის სპეციფიკა;

• მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადრესატის ინტერესები და სურვილები.

საქმიანი მიმოწერისას წვრილმანები არ არსებობს. ყურადღება უნდა მიექცეს კონვერტს, ბლანკს, შინაარსის თანმიმდევრობას, მართლწერას, კორექტულ შეჯამებებს, წერილის დასაწყისშივე პარტნიორის კეთილგანწყობის შექმნას და სხვ.

კორესპონდენციის მომზადების მრავალი ხერხი არსებობს. გამოყოფთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები:

- რა სურს პარტნიორს?
- რა არის მისი ძირითადი საზრუნავი?
- როგორია პარტნიორის ფინანსური შესაძლებლობა?
- როგორია მისი სამომავლო მიზნები და სხვ.

საქმიანი წერილი ხშირად ასეთი სქემით იწერება:

ყურადღება - ინტერესი - თხოვნა - მოქმედება.

მაგალითად:

ყურადღება: "მზურს გაცნობთ მნიშვნელოვანი . . ."

ინტერესი: "გთავაზობთ . . . რომელიც არსებითად შეცვლის . . ."

თხოვნა: "ჩვენ გვეკმაყოფილება იმ ადამინების დახმარება, რომლებიც . . ."

მოქმედება: "მოგწოდებთ შეუერთდეთ ათასობით . . ."

ყველაზე რთული წერილის დაწერა, პირველი ფრაზის დაწერაა. მან ადრესატის ყურადღება უნდა მიიპყროს. ამიტომ სასურველია წერილის მიმდევრის სურვილებს, პრობლემებს, მიზნებსა და სხვათა გათვალისწინება. თუ მოახერხებთ ადრესატის ყურადღების მიქცევას, შემდეგ საჭიროა მისი დაინტერესება, რაც შეიძლება ურთიერთმისაღები და სახარგებლო პერსპექტივები პქონდეს. ამას უნდა მოჰყვეს წერილის ავტორის თხოვნა ან წინადადება. მიზანშეწონილია წერილი დამთავრდეს კონკრეტული მოქმედების შეთავაზებით. ამასთან უნდა გვახსოვდეს ერთი რამ - თხოვნის ფორმირებისას ადრესატს ვარიანტების არჩევის საშუალება უნდა ჰქონდეს (სასურველია ვარიანტები, რაც შეიძლება მცირე იყოს).

ხშირად წერილს აქვს P.S. (პოსტკრიპტში) რომელიც ხელმოწერის შემდეგ აღინიშნება, რითაც ადრესატის ყურადღება, დაინტერესება კიდევ უფრო ძლიერდება.

ინგლისურ ენოვან საქმიან წერილებში გაერცელებული სიტყვათა შემოკლებობა: cont. (continuation) "გაგრძელება", (contract) "კონტრაქტი, ხელშეკრულება", F.E. (For example) "მაგალითად", mem(o) (memorandum) "შემორანდუმი", N (number) "ნომერი, რიცხვი", N.B. (nota bene) "შენიშვნა, აღნიშვნა", O.C. (office copy) "ასლი რომელიც საქმეში რჩება", O/o (order of) "დავალებით, განკარგულებით, ვიდაცის ბრძანებით", P.C. (post card) "საფოსტო ყუთი, რომელიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის", P.I. (Pro tem-

25667

ახალი პერიოდის

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეცნიერება



pore) "დროებითი, დროებით", P.L.O. (please turn over) "იხილე უკან", regd (registered) "რეგისტრირებული, შეკვეთილი, ხაფოსტო გაზაფხილები".
 R.M. (registered mail) - "შეკვეთილი ფოსტა";
 s.g. (signature) "ხელმოწერა", (signed) - "ხელმოწერილია";
 Tel (telephone) "ტელეფონი", (telegram) "ტელეგრამა", (telegraph) "ტელეგრაფი", (telegraphic) "სატელეგრაფო";

Tel. Add. (telegraphic address) "სატელეგრაფო მისამართი";
 T.M. (trade mark) "ხაეაჯრო ნიშანი";
 T.M.O. (telegraph money order) „ფულადი გაზაფხილები ტელეგრაფით“;
 T.T. (telegraphic transfer) "სატელეგრაფო გაზაფხილები" და სხვ.

ნიმუში

სახელი მკურნალობის

ადრესატი ორგანიზაციის დასახელება	
წერილის მიმღები	გაგზავნის თარიღი
ადრესატის მისამართი	
თავაზიანი მიმართვა	
წერილის შინაარსი და დასახელება	
წერილის ძირითადი ტექსტი	
კომპლიმენტი	კომპლიმენტი
ან	
ხელმოწერა	ხელმოწერა
დანართის ჩამონათვალი	
ასკლის მიმღები პირი	

ნახ. 11. საქმიან წერილში კომპონენტების განლაგება

მომავალი ეკონომიკის ბეგრძი

მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მეთი სოხაძე
თიბო სოხაძე

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

მცირე ბიზნესის განვითარებას განსაკუთრებით აქტიური როლი უნიჭება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დანიჭარების, დასაქმებისა და სოციალურების საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში; დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და რეგიონების განვითარების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფაში. როგორც ცნობილია მცირე ბიზნესი ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებაზე, ე.ი. ადგილობრივ ბაზარზე და ადგილობრივი სანეკლელო, შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

მცირე ბიზნესი საქმიანობის უნიკალური სფეროა, რამდენადაც ინდივიდის შესაძლებლობა ეძლევა სრულად გამოავლინოს თავისი ნიჭი, უნარი და საერთოდ ყველაის თვისება, რაც მცარმეს ახასიათებს (რისკიანობა, ენერგოულობა, მაღალშემოსავლიანი საქმის წამოწყება და ა.შ.). თუკვა იგი არც ნაკლოვანებებისაგანა დაზღვეული. მსხვილ საწარმოსთან შედარებით ნაკლებად სტაბილურია, ნაკლებად კონკურენტუნარიანია, ვინაიდან მისი საქმიანობის სფერო მცირეა ბაზრის მასშტაბებთან შედარებით და მას არ შეუძლია არსებითი ზეგავლენის მოხდენა ბაზარზე შექმნილ ვითარებაზე.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მონაცემებით გასული

საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის, მცირე საწარმოების წილად მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის 5%, 1996 წელს 12-15%, ამ დროისათვის რეგისტრირებული იყო 8594 მცირე საწარმო, რომელთაგან 2555 ანუ 29.7% სახელმწიფო სექტორში, ხოლო 6043 ანუ 70.3% კერძო სექტორში ფუნქციონირებდა. მრეწველობის დარგებში მცირე საწარმოთა რიცხოვნობის მხრივ გამოირჩევა გადაამაშუშავებელი მრეწველობა. მილიანად მრეწველობაში არსებული 1549 მცირე საწარმოდან გადაამაშუშავებელ მრეწველობაზე მოდის 1475 (95.5%) მცირე საწარმო.

2003 წლის დასაწყისისათვის საქართველოში აღრიცხული იყო 57231 მცირე საწარმო, რაც საწარმოთა 76,7%-ს შეადგენდა. ამ მცირე საწარმოებში მუშაობდა 182058 კაცი, ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 19,3%. მცირე მწარმოებაში რეგიონთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ქ. თბილისის როგორც საწარმოთა რიცხვის (42,7%), ისე მომუშავეთა მიხედვით (46,3%). სხვა რეგიონებიდან ამ მხრივ გამოირჩევა იმერეთი. თუკვა მცირე ბიზნესის განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნიათ დანარჩენ რეგიონებსაც.

ოციციადურად დეკლარირებული მონაცემებით, 2006 წლის I კვარტალში მოდიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

საქართველოს ეკონომიკის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მომავალი ეკონომიკის ბვერდი

– მსხვილი საწარმოები – 82.9 პროცენტი;

– საშუალო საწარმოები – 9.7 პროცენტი;

– მცირე საწარმოები – 7.4 პროცენტი.
საქმიანობის სახეების მიხედვით მცირე საწარმოთა მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ:

– „ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 54.3 პროცენტი;

– „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.1 პროცენტი;

– „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 9.2 პროცენტი;

– „სასტუმროები და რესტორნები“ – 6.4 პროცენტი;

– „ტრანსპორტი და კომუნიკაციები“ – 5.9 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით მცირე საწარმოთა მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

– ქალაქი თბილისი – 49.3 პროცენტი;

– იმერეთი – 10.8 პროცენტი;

– აჭარის არ. – 8.4 პროცენტი;

– სამეგრელო-ზემო სვანეთი – 8.0 პროცენტი;

ქვემო ქართლი – 7.8 პროცენტი.

მონაცემთა ანალიზიდან გამომდინარე მცირე ბიზნესის განვითარებაში შეიმჩნევა ორი ხაეურადღებო ტენდენცია:

1. მცირე საწარმოთა დიდი ხვედრითი წილი (50%-მდე) თავმოყრილია დედაქალაქში, მცირე ბიზნესის სფეროში წარმოებული პროდუქციის სახეობზე მეტი იწარმოებოდა თბილისში. ეს მონაცემი თავისთავად მიგვანიშნებს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შეკუთრად ჩამორჩენაზე;

2. პრივატიზებული მცირე ბიზნესის საწარმოებიდან 80% ვაჭრობით ან სერვის-

ითაა დაკავებული, რაც მიუთითებს მრეწველობაში მცირე ბიზნესის საწარმოთა რიცხოვნობის სიმცირესა და აქედან გამომდინარე კონკურენტულობის სისუსტეზე.

აქედან გამომდინარე, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია მივიღოთ: 1. უცხოური კრედიტებისა და დახმარების საქმეში სხვადასხვა სტრუქტურის კომპეტენციითაა გამიჯვნა. უცხოური კრედიტებისა და დახმარების განაწილების სფეროში არსებული ბიუროკრატიული ბარიერების მოხშობა; 2. მცირე მეწარმეთა შესახებ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა (მცირე საწარმოთა სტატუსის განსაზღვრა დარგების მიხედვით, მათთვის შეღავათების მინიჭების პრიორიტეტული სისტემის შექმნა); 3. მცირე მეწარმეთა საინფორმაციო უზრუნველყოფისა და მათთვის კადრების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება; 4. მცირე ბიზნესის საწარმოებისათვის სახელმწიფო დაკვეთების პრიორიტეტული განაწილება.

ჩვენი აზრით, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სახარებლოდ მეტყველებს მრავალფეროვანი ბუნება და გყოვარაფოული მდებარეობა, კუთხეების კოლორიტი და კლიმატური პირობები. ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრადიციული დარგების აღორძინება და განვითარება (თხის მოპოვება და განვითარება, ხაღირების წარმოება, მეღვინეობა, მებოსტნეობა, ხილის წარმოება, საშენ მასალათა მოპოვება და წარმოება, ხეჩყის დამუშავება) განსაკუთრებულ მიმართულებად უნდა გამოიყოფოს საკურორტო მეურნეობის და ტურიზმის განვითარება. იგი უნდა ატარებდეს „საოჯახო“ ბიზნესის ხასიათს. ამჟამად, მცირე ზომის „საოჯახო“ სასტუმრო-მეურნეობები წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში (ბათუმში, ქობულეთში, ურეკში, სარფში და თითქმის ყველა დასახლებულ

საქსტატი ეკონომიკის



ადგილას); ბორჯომის ხეობის საკურორტო ზონაში (ბორჯომი, ბაკურიანი, ლიკანი); სამთო კურორტ გუდაურში; ბახაღეთის ტბის სანაპიროზე და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად არ ვითარდება ინოვაციური მეწარმეობა. თუმცა ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, ამუშავებენ სხვადასხვა კონცეფციებს, მიუხედავად ამისა ჯერაც არ არსებობს კონკრეტულ დონისძიებათა სისტემა, რომელთა განხორციელებაც საშუალებას მისცემს თანამედროვე მეწარმეობას, განსაკუთრებით მეცნიერებატევად საწარმოებს, რომ მათ გამოიყენონ თავიანთი დიდი პოტენციალური შესაძლებლობები.

საქართველოში მცირე ბიზნესის ყველაზე მტკიცე ნული პრობლემა იყო და რჩება დაფინანსება - ინვესტირების დაბალი დონე, საკუთარი სახსრების უკმარისობა, მაღალი საგადასახადო განაკვეთები და კრედიტების მოქმადსურების მაღალი პროცენტი აფერხებს ამ სფეროს განვითარებას ქვეყანაში. ამასთან უნდა აღინიშნოს ამ დარგში არსებული მაღალი რისკები, რის გამოც ბანკები და სხვა ინვესტორები თავს არიდებენ მათ დაფინანსებას. ეს რისკები შეიძლება იყოს: მცირე საწარმოებს არ შეუძლიათ წარადგინონ ასპროცენტინი გარანტია თავიანთ ვალდებულებებზე; არსებობს დაკრედიტებული ფირმების გაუნინარების, კრედიტების არდაბრუნების, გირაოს გადაამალვის ნეგატიური გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ბანკებმა უნდა შესძლონ მცირე ბიზნესის განვითარების წარმოდგენილი პროექტებიდან საუკეთესოს ამორჩევა და სესხების შეფასების სრულყოფა.

არადა წვენი აზრით, მცირე ბიზნესის საინვენსტიციო მხარდაჭერას ორმაგი დასაბუთება აქვს: 1. მცირე მეწარმეობის განვითარება მრავალი სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტინი საშუალებაა და 2. ხელს უწყობს ქვეყნისათვის აქტუ-

ალური ამოცანების გადაჭრას (კონკრეტული გარემოს შექმნა, დასაქმება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას დაეხმარება "ფონდი - სასაწყლელის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") პროექტები, რომლებიც ძირითადად მიმართულია ავრობიზნესის, რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გზების რეაბილიტაციის პრობლემების გადაწყვეტაზე.

SUMMARY


Development Perspectives of Small Business in Georgia

**KETISOKHADZE
TIKO SOKHADZE**

**Students of Tbilisi Economic Relations
State University**

In Georgia, small business has approved it's successful work. It is very competitive and very simply adopted with market demands. It is able to provide new product (service) with less expenses. Can work with limited resources and satisfy customers' demands. Our country have a great geographical location, various nature, and climate conditions are giving a lot of opportunities for small business development. Nowadays, in this field are still some problems: low level of investment, higher tax rates.

ახალი ეკონომისტი



ახალი ეკონომიკა

ეკონომიკის, განსაკუთრებით ბიზნეს საქმიანობის თანამედროვე პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაში დიდ მნიშვნელობას იძენს ბიზნესის აღმინისტრირების დარგში თანამედროვე მეთოდების, უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების აღზრდა, რომლებსაც ცოდნის დაუფლებით სათვის ესაჭიროებათ შესაბამისი პროფილის ქართულენოვანი ლიტერატურა. სწორედ რაციონალური თეორიული და მეთოდოლოგიური სისტემით შექმნილი სპეციალური ლიტერატურა რეალურად ქმნის პროფესიული აღზრდის შესაძლებლობებს თანამედროვე ბიზნეს-განათლების რესურსების სრული გამოყენებით. რეფორმები უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის სრულყოფით იწყება, რაც პირველ რიგში პროფესიონალი პედაგოგებისაგან, მეცნიერებისგან დროის შესატყვისი მოთხოვნებისა და სტანდარტების სახელმძღვანელოების შექმნას მოითხოვს.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ლიტერატურული გადმოცემის ერთ-

ერთი საუკეთესო ნიმუშია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის ხელმძღვანელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ შენგელიას წიგნი „თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები“, რომელიც საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელსაწყოების ცენტრის მხარდაჭერითა და კენტუკის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორების ა. ს. ლოვენისი, ი. კ. სტივენსონის, ი. ტუზოვიკის სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნების გათვალისწინებით მიმდინარე წელს გამოიცა გამოცემლობა „ლონი“-ს მიერ. სახელმძღვანელო ფაქტობრივად საქართველოში ბიზნესის საფუძვლებისა და პრობლემების სისტემური შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდაა, რასაც ჩვენი აზრით წიგნის ავტორმა წარმატებით გააართვა თავი.

სახელმძღვანელო კარგად არის აგებული, ძალზე სინტეტრესოა შინაარსითა და სტრუქტურით. ლოგიკური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ბიზნესის მართვისა და აღმინისტრირების ძირითადი ცნებები, მისი არსი და მნიშვნელობა, ბიზნესის გარემო, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, ბიზნესის ორგანიზაციის ფორმები, ფინანსური უზრუნველყოფა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, ადამიანური ურთიერთობები ბიზნესში და მარკეტინგი, როგორც ბიზნესის ფილოსოფია.

„თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები“ განხილული საკითხებით, სრულად პასუხობს ანალოგიური სასწავლო ტიპის სახელმძღვანელოს მიმართ წაყენებულ მოთ-

ახალი წიგნები

ხოვნებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის თითქმის არ მოიძებნება მსგავსი ანალოგი ქართულ ენაზე.

ბიზნესის დაწვების, ორგანიზაციის, მართვის პრინციპების ახსნისას, გამოყენებულია ცნობილი უცხოელი და ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მოსაზრებები, დებულებები და შეხედულებები, რაც უდაოდ მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის კონკრეტული საკითხის შესწავლასა და განხორციელებას.

ავტორის რეალური დამოკიდებულება ბიზნესისადმი, ხათლად ჩანს, მის მიმართებაში შკითხველისადმი, სადაც ის აღნიშნავს: „თანამედროვე ბიზნეს-განათლება პრაგმატულია. ის მკვეთრად არის მოტივირებული, რადგანაც მას საფუძვლად უდევს ამ სფეროში ლიდერის აღზრდა, მისი მომავალი სოციალური სტატუსის განსაზღვრა“.

სახელმძღვანელოში ყველა განხილული საკითხი აქტუალური, ცენტრალური და მნიშვნელოვანია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და საკვანძო როლს თამაშობს მაკროეკონომიკური თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის მისადაგება თანამედროვე ბიზნესისადმი. მოთხოვნისა და მიწოდების როლის დადგენა ბიზნესის განვითარებაში; ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ევოლუცია; ფულადი სახსრების მოზიდვისა და მართვის პრობლემები; საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები; საქონლისა და მომსახურების წარმოება, ღირებულება, შრომითი და მატერიალური რესურსების მართვა, მორტივაციის თეორიები და ხელმძღვანელის სტილი; ინფორმაციული და სარეკლამო საშუალებები და სხვა.

წიგნში წარმოდგენილია შერეული ეკონომიკის პირობებში ბიზნესის განვითარების მოდელები, ისტორიული გზა,

რომელმაც შექმნა თანამედროვე ბიზნეს-გვიანტები.

ავტორი ღრმა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, თავის შესხედულებებსა და მიდგომებს დასაბუთებულად გადმოხცემს, რაც მის მაღალ მეცნიერულ დონეზე მივანიშნებს. ავტორის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ საკუთარ პოზიციებს გადმოხცემს ძალზე დასაბუთებულად და არგუმენტირებულად.

სახელმძღვანელოში, მის თითოეულ სტრიქონში იგრძნობა ავტორის პროფესიონალიზმი, დახვეწილობა, ღრმა ფიქრი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა თუ მის თანამედროვე პრობლემებზე, მათი დაძლევის გზებზე. აქვე იკითხება ბატონი თეიმურაზის გაბედულება, ღალი აზროვნება, მეცნიერული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნების გაკეთების უნარი.

დარწმუნებული ვართ ასეთი მიდგომებით შექმნილი სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის. ის ჯეროვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, დოქტორანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ბიზნესმენებს, საჯარო მოხელეებს, მათ სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში. „თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები“ ავტორს – პროფესორ თეიმურაზ შენგელაის ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებსა და ახალ-ახალ მეცნიერულ აღიარებას.

რეზაზ მანველიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

ახალი ბერძენისტი

პირველი ქართული წიგნი

ახალი გვერდები

ქართულ ეკონომიკურ საზოგადოებრიობას მიეცა საშუალება გაეცნოს კომპაქტურად, ერთ წიგნად წარმოდგენილ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკას საქართველოში და მისი სრულყოფის დასაბუთებულ წინადადებებს სწავა ფერულავეს ავტორობით გამოცემული სქემატინიანი მონოგრაფიული გამოკვლევით – „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონკურენციული პოლიტიკის მიზანი, ამოცანები და ძირითადი მიმართულებები. დახასიათებულია კონკურენციული კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების ისტორია. წარმოდგენილია მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის, სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმები.

კონკურენციული კანონმდებლობა შედარებით ახალი მოვლენია საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებასა და მის სამართლებრივ სისტემაში. როგორც ცნობილია, საქართველოში მას, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საფუძველი ჩაეყარა გავრცელებული ეკონომიკის რეგულაცია და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საწყის ეტაპზე კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

უკვე 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“, რომელიც 1996 წელს ჩანაცვლებულ იქნა კანონით „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. უფრო მოგვიანებით კი 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი

„თავისუფალი ეაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან და დარგობრივ მარეგულირებელ სამართლებრივ საკანონმდებლო აქტებთან ერთად წარმოადგენს ქვეყნის კონკურენციულ კანონმდებლობას და ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირების სამართლებრივ საფუძველს.

საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება უშუალოდაა დაკავშირებული გამართული საკონკურენციო კანონმდებლობისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს არსებობასთან. სწორედ, ჰარმონიზებული საკონკურენციო პოლიტიკა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ხერხემალს და მის სწორ წარმართვაზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და სამართლიანი განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სარეგულაციო ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია კონკურენციის თეორიის ევოლუციისა და საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პროცესისადმი, წარმოადგენს შეტად აქტუალურ, საინტერესო და საჯირო გამოკვლევას; მონოგრაფია ფაქტობრივად არის სრულყოფილი მატინე საქართველოში განვლილი და მიმდინარე პროცესებისა და საკონკურენციო სფეროში.

ნაშრომში თანამიმდევრულად არის გადმოცემული შეხედულებათა ევოლუცია კონკურენციის შესახებ, კრიტიკულადაა განაალიზებული და შეფასებული კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის კონკრეტული მოდელები. ასევე, მიმოიხილულია საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირების და შემდგომში ანტიმონოპოლიური რეგულირების ეტაპები და სამართლებრივი საფუძველები. საქ



მაოდ საფუძვლიანადაა წარმოჩენილი ხაკონკურენციო კანონმდებლობისა და მისი აღმასრულებელი ორგანოების ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკა. გამოვლენილია არსებული ხარვეზები და მოცემულია მათი გადაჭრის რეალური პერსპექტივები ავტორის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის სახით.

ნაშრომს ახლავს დიდი ოდენობის დანართები, რომელშიც სრულყოფილიადაა წარმოდგენილი ცალკეული სამართლებრივი აქტებისა თუ სხვა მეთოდური ხასიათის ჩარჩო დოკუმენტები.

ავტორის უშუალო და უკვეკვლ დამსახურებას წარმოადგენს დიდი ოდენობის ფაქტობრივი მასალის თავმოყრა, გადამუშავება და სისტემატიზებული სახით წარმოდგენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატიანი სლავა ფაქტელავას თავდადებული შრომის შედეგად შექმნილია ერთიანი, საკითხავად და გამოსაყენებლად მოხერხებულად წარმოდგენილი თეორიისა და პრაქტიკის კარგი სიმბიოზი საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობის ფორმირებისა და აღსრულების სფეროში. უნდა ითქვას, რომ სხვა ავტორი სურვილისა და კვალიფიკაციის მიუხედავად ალბათ ვერ შეძლებდა ამგვარი ნაშრომის შექმნას, ვინაიდან წიგნის ავტორი არის უშუალო შემოქმედი და მონაწიდე კონკურენციის სფეროში ჩატარებული ყველა სამუშაოებისა მისი საწყისი ეტაპიდან დღემდე განსაკუთრებულად უდა აღინიშნოს სლავა ფაქტელავას მიერ მალაპროფესიონალურ დონეზე გადმოცემული კონკურენციის სფეროში არსებული საზღვარგარეთული პრაქტიკა და საქართველოს დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. კერძოდ, მისი ხაერთაშორისო ვალდებულებები კონკურენციის სფეროში. ასევე, ძალიან ხანტერესოა ავტორისეული გრადაცია კონკურენციული კანონმდებლობის ფორმირებისა და რეალიზაციის ეტაპები-

სა საქართველოში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ეტაპი, თუ არა ავტორის დელიკატური და აკადემიური სტილი უფრო შკაცრად უნდა ყოფილიყო დახასიათებული როგორც გარკვეული უკუსხლა საქართველოსი ხაკონკურენციო კანონმდებლობისა შესაბამის ევროკანონმდებლობასთან პარმონიზაციის მიმართულებით.

ავტორმა თავისი პირუთენელი დამოკიდებულება ხაკონკურენციო სფეროში შექმნილი სიტუაციისადმი წარმოაჩინა კანონპროექტში, რომელშიც გახსნილია დღევანდელი ჩვენი კანონდებლობის სრულყოფისა და ევროკანონმდებლობასთან მისი პარმონიზაციის ყველა ნიუანსი.

საერთოდ, სლავა ფაქტელავას ნაშრომი ორიგინალურია. იგი ავსებს იმ დეფიციტს, რაც არსებობს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კონკურენციის ასპექტების თვალსაზრისით და ჩემი აზრით წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაბენს ქართული ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური ისტორიისათვის.

ნაშრომი ხანტერესოა როგორც მეცნიერი მკვლევარებისა და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის (სახელმწიფო მოხელეებისა თუ ბიზნეს-სფეროს მენეჯერ-სპეციალისტებისათვის), ასევე ეკონომიკური და იურიდიული პროფილის სტუდენტებისა და საერთოდ ყველა დანტერესებული მკითხველსათვის, რომელთა რიცხვი საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე უკვე ხაკმაოდ დიდი და ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება.

შალვა ბობიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ოსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი,

ახალი მბრუნისიტი



საპარტიმელოს კანონი

საპარტიმელოს საბადასახადო კოდექსში
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო
მაგნი, 41, 30.12.2004, მეხ. 200) 85-ე მუხლს:

ა) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 31 და 32 ნაწილები:

„31. მარეგისტრირებული ორგანოსათვის გაგზავნილ შეტყობინებაში საგადასახადო
გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ სავალდებულო წესით აღნიშნული
უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი და პირადი ნომერი, იურიდიული
პირის შემთხვევაში - სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) ის სდერული თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს შესაბამისი ქონებიდან
მოთხოვნის დაკმაყოფილება.

32. თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის შესახებ შეტყობინება არ
შეიცავს ამ მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებულ მონაცემებს, მარეგისტრირებული ორგანო
უარს აცხადებს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციას“;

ბ) მე-9 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი:

„10. თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შემდგომ შესაბამის
ქონება დაიტვირთა გირავნობით/იპოთეკით კომერციული ბანკის სასარგებლოდ და
საგადასახადო ორგანო მითითებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მიღებული ხანაშროლო
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში არ მოახდენს საგადასახადო
გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, მეორე რიგის მოგირაენე/
იპოთეკარი (კომერციული ბანკი) უფლებამოსილია, დაიკავოს პირველი რიგის იპოთეკარის
ადგილი, ხოლო საგადასახადო ორგანო - მეორე რიგის იპოთეკარის ადგილი. ეს მოთხოვნა
არ ვრცელდება ამ შემთხვევებზე, როდესაც საგადასახადო ორგანო არის მეორე და შემდგომი
რიგის მოგირაენე/იპოთეკარი ან/და მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება ან ქონების
რეალიზაცია შეუძლებელია საგადასახადო ორგანოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2007 წლის 29 ივნისი.

ხალხი პარლამენტი



საპარტიო მემლოს კანონი

საპარტიო მემლოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 30.12.2004, მუს. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის II ნაწილი:

„11. ამ კოდექსის ცალკეული თავებისა და მუხლების გამოყენების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამტკიცებს ინსტრუქციებს. ასეთი ინსტრუქციების ან მათში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წინასწარ, გამოცემაზე არანაკლებ 1 თვით ადრე ქვეყნდება და საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით.“

2. მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსით დადგენილი ვადის ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედების განხორციელების მომდევნო დღიდან. ამ კოდექსის მიზნებისათვის, დღე შეიძლება იყოს სამუშაო ან კალენდარული. თუ ეს არ არის მითითებული, ამ შემთხვევაში დღე არის სამუშაო დღე. ამასთანავე, ამ კოდექსის მიზნებისათვის, სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უპე დღეებისა.“

3. მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კრედიტების (სესხების) გაცემა; კრედიტებზე (სესხებზე), საკრედიტო (სასესხო) გარანტიებსა და ფულად-საკრედიტო (ფულად-სასესხო) ოპერაციებზე ზრუნველობის საშუალებების გაცემა, მათ შორის, პირის მიერ გაცემული კრედიტების (სესხების) და საკრედიტო (სასესხო) გარანტიების მართვა, აგრეთვე ფაქტორინგი (გარდა საინკასო მომსახურებისა).“

5. 22-ე მუხლის ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება ბაზარზე ამ საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტისთვის (ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უმეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს) იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების, მათ შორის, საერთაშორისო და სხვა ბირებზე დაფიქსირებული ფასების შესახებ ინფორმაციის, საფუძველზე.“

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგება ან ამ ბაზარზე ასეთი საქონლის/მომსახურების მიწოდება არ არსებობს, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ ფასებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია იდენტურ (მსგავს) 2 საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების საფუძველზე, საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უმეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს.“

6. 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სახელი გვარი



ა) ბანკებში და საბანკო ოპერაციების განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციებში საბანკო ანგარიშების (გარდა საბანკო (ფინანსი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ, ასეთი ანგარიშების გახსნადან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე, საქართველოს საწარმოები, საქართველოს ორგანიზაციები და მეწარმე ფიზიკური პირები წარადგენენ ინფორმაციას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებში გარეთ გახსნილი ანგარიშების შესახებ, ხოლო უცხოური საწარმოები და ორგანიზაციები – მხოლოდ საქართველოში გახსნილი ანგარიშებისა და იმ ანგარიშების შესახებ, რომლებიც იმისი ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში”.

7. 44-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოკალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაზღვეული საფოსტო გზაზე გადგენილი შემთხვევაში დოკუმენტის/წერილის გადაცემის თარიღად ითვლება დაზღვეული საფოსტო გზაზე გადგენილი თარიღი. თუ დოკუმენტის/წერილის გადაცემისათვის დადგენილი გარკვეული ვადა, ისევე, როგორც ამ დოკუმენტზე/წერილზე რეაგირებისათვის, ამ ვადის ათწლეულ ადრესატისთვის იწყება დაზღვეული საფოსტო გზაზე გადგენილი მისთვის ფაქტობრივად ჩაბარების თარიღიდან.”;

ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 ნაწილები:

„5. ფიზიკურ პირს (მათ შორის, მეწარმე ფიზიკურ პირს) დოკუმენტ/წერილი ფოსტით ან კურონის მეშვეობით უნდა ჩაბარდეს პირადად, საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ადრესატისთვის საქმიანობის ადგილზე გაგზავნილი დოკუმენტ/წერილი უნდა ჩაბარდეს კანცელარიის ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია დოკუმენტ/წერილი გადასცეს ადრესატს. დოკუმენტის/წერილის ჩაბარება დასტურდება შესაბამის უწყებაზე დოკუმენტის/წერილის მიმღების ხელმოწერით. თუ დოკუმენტის/წერილის ჩაბარებულმა ადრესატი ვერ ნახა საქმიანობის ან საცხოვრებელ ადგილზე, იგი დოკუმენტს/წერილს აბარებს საცხოვრებელ ადგილზე მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს ან საქმიანობის ადგილზე კანცელარიას. დოკუმენტის/წერილის მიმღები ვალდებულია ჩაბარებულის მიერ წარდგენილ შესაბამის უწყებაზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატიდან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. მიმღები ვალდებულია დოკუმენტ/წერილი დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. ჩაბარებად ითვლება როგორც დოკუმენტის/წერილის პირადად გადაცემა, ისე მიმღების მიერ ადრესატისათვის დოკუმენტის/წერილის შინაარსის ცნობა. ადრესატი 3 არყოფნის შემთხვევაში დოკუმენტის/წერილის ჩაბარებულმა შესაბამის უწყებაზე უნდა აღნიშნოს, სად არის წახელი ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას.

6. გადასახადის გაღმხმდგელს ან სხვა ვალდებულ პირს, გარდა ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ფიზიკური პირისა, დოკუმენტ/წერილი ფოსტით ან კურონის მეშვეობით უნდა ჩაბარდეს სარეგისტრაციო დოკუმენტებით განსაზღვრულ იურიდიულ მისამართზე. ადრესატისთვის იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი დოკუმენტ/წერილი უნდა ჩაბარდეს კანცელარიის ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და უფლებამოსილ პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – დაქირავებით მიმუშავებულ მიერ ფიზიკურ პირს, რაც დოკუმენტის/წერილის ჩაბარებად ითვლება. დოკუმენტის/წერილის მიმღები ვალდებულია ჩაბარებულის მიერ წარდგენილ შესაბამის უწყებაზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატიდან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. ადრესატის იურიდიულ მისამართზე ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტის/წერილის უკან დაბრუნების შემთხვევაში, თუ უკან დაბრუნების მიზეზია სავალსაჩალო ორგანოსათვის შეტყობინების გარეშე ადრესატის იურიდიული მისამართის შეცვლა, მაშინ დოკუმენტის/წერილის უკან დაბრუნება ჩაითვლება ჩაბარებად, ხოლო უკან დაბრუნების დღე – ჩაბარების დღედ”.

8. 59-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის 41 ნაწილი:

„41. გადასახადის გადასმდგომის სავალსაჩალო ვალდებულება შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად განსაზღვრული ფორ-

სახალი აქტის მოთხოვნით



მთ. ასეთ შემთხვევაში შესრულებული საგადასახადო ვალდებულება უკან დაბრუნდება არ ექვემდებარება.

9. 61-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საწარმოს/ორგანიზაციის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს/ორგანიზაციის გამოყოფისას გამოყოფილ საწარმოზე (საწარმოებზე) ორგანიზაციაზე (ორგანიზაციებზე) ვრცელდება ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები.“

10. 66-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ამ კოდექსით განსაზღვრული არ არის გადასახადის გადახდის ვადა, გადასახადის გადახდა სორციელდება დეკლარაციის წარდგენისათვის დადგენილ ვადებში, ხოლო სხვა შემთხვევაში (მათ შორის, დამატებით დარიცხული და გადასახადო ორგანოს) – გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.“

11. 70-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ანგარიშებზე (მათ შორის, სავალუტო ანგარიშებზე) ფულადი სახსრების არსებობისას ბანკს უფლება არა აქვს შეაფერხოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო ვალდებულება ან/და საგადასახადო ორგანოს ხაინკასო დავალება შესაბამის ბიუჯეტში გადასახადის ჩარიცხვის თაობაზე, თუ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ანგარიშებზე (მათ შორის, 4 სავალუტო ანგარიშებზე) არ გააჩნია ფულადი სახსრები ან ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები არაააქტიურია საგადასახადო დავალების ან/და ხაინკასო დავალების შესასრულებლად, მათი აღსრულება სორციელდება ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესაბამისად, არა უგვიანეს ყოველი ასეთი ჩარიცხვის დღის მომდევნო სოკერაციო დღისა. აღსახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ყოველ ვალუტაში ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების არაააქტიურობის დროს უცხოური სავალუტო ანგარიშის ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ბანკი ახორციელებს ამ ანგარიშზე არსებული თანხის კონვერტიციას ყოველ ვალუტაში.“

ბ) მე-4 და მე-5 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

12. IX თავი ამოღებულ იქნეს.

13. მე-80 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საგადასახადო მოთხოვნა“ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს. „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულება სავალდებულოა ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

14. 82-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ორგანომ „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა შეასრულოს მისი მიღებიდან 3 თვის ვადაში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

15. 84-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები გაკორტების საქმის წარმოებისას ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოების მიმართ გამოიყენება მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით.“

16. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 841 მუხლი:

„მუხლი 841. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეწყობა

1. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება შეჩერდეს გადასახადის გადამხდელის დასაბუთებული წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, რომელსაც უნდა ერთოდეს საგადასახადო ვალდებულებების

საკანონმდებლო



საკანონმდებლო სიხლენი

საქართველოს
საარჩევნო ადმინისტრაცია

შესრულების უზრუნველსაყოფად (გადასახდელი გადასახადის ან/და სანქციის და შეჩერების პერიოდში მასზე დარიცხული საურავის ოდენობის გათვალისწინებით) საბანკო გარანტია ან ფინანსური გარანტია.

2. საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

ა) საგადასახადო ორგანო, თუ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულება არ აღემატება 250 000 ლარს, ხოლო შეჩერების ვადა არ აღემატება 6 თვეს;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, თუ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულება არ აღემატება 1 000 000 ლარს, ხოლო შეჩერების ვადა არ აღემატება 1 წელს.

3. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საგადასახადო ვალდებულებების დაფარვაზე იღება ხელშეკრულება, რომლისაც განისაზღვრება დაფარვის გრაფიკი და სხვა პირობები.

4. ხელშეკრულებით განისაზღვრული პირობების დარღვევისას ან/და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის პერიოდში მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისას წარდგენილი საბანკო გარანტია ან ფინანსური გარანტია უპირობოდ სრულდება.

5. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ შეიძლება შეჩერდეს, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელის წინააღმდეგ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამო;

ბ) მიმდინარეობს საგადასახადო სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამო.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ვარემოებების არსებობისას საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება ითულება ბათილად, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება - ბათილ გარიგებად.

7. გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი ვალდებულია ამ მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მომენტიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს გადასახადის გადამხდელს და საგადასახადო ორგანოს მისი საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისას წარდგენილი

საბანკო გარანტია ან ფინანსური გარანტია უპირობოდ სრულდება.

8. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერება არ ათავისუფლებს გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტში გადასახადის არადროულად ჩარიცხვის გამო დარიცხული საურავის გადახდისაგან.

9. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერება ვადაზე წყდება:

ა) შესაბამისი გადაწყვეტილების (ხელშეკრულების) ვადის ამოწურვისას;

ბ) თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილი ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის გადასახადის კუთვნილ თანხებს და შესაბამის საურავს;

გ) თუ გადასახადის გადამხდელი დადგენულ ვადებში სრულად დაფარავს საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების (ხელშეკრულების) ვადის ამოწურვისას;

10. გადაწყვეტილებას საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების ვადაზე შეწყვეტის შესახებ უფლებამოსილი პირი მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით გადასცემს გადასახადის გადამხდელს ამ კოდექსით დადგენილი წესით. გადაწყვეტილების ასლი ამავე ვადაში უგზავნება საგადასახადო ორგანოს მისი საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

საკანონმდებლო

საკანონმდებლო სიხსენი

11. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის დონის მიხედვით შენერების წესი და პროცედურები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

17. 85-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომლის დენაც ჩერდება:

ა) ეკოტრების საქმის წარმოების პერიოდში;

ბ) საწარმოს რეკონსტრუქციის რეკონსტრუქციის პერიოდში;

გ) საგადასახადო დავის მიმდინარეობისას“;

ბ) მე-8 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები:

„ა) საგადასახადო ვირავენობის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

დ) „ეკოტრების ხაზშეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში“;

ე) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. იმ ქონების გადაცემის ხელშეწყობის მიზნით, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკის უფლება, საგადასახადო ვირავენობის უფლება აქვს გააუქმოს საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკის, თუ საგადასახადო ვირავენობის ხანდაზმულობის მიხედვით ამონაგებ თანხას ან თუ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ასეთი ქმედება ხაზგაშეწოვით ინტერესია“;

დ) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„11. საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკის უფლების გაუქმების შემთხვევაში საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკის ცნობას ქონების საგადასახადო ვირავენობის/იპოთეკით დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ“.

18. 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ პირის დავალდებულებას, რომ მან „საგადასახადო მოთხოვნის“ მიუხედავად 20 სამუშაო დღის ვადაში უშუალოდ საგადასახადო ვირავენობის გადაუხადოს მასში აღნიშნული თანხა ან გადასცეს თავის მფლობელობაში არსებული გადასახადის გადაამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონება“.

19. 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. ქონებაზე ყადაღის დადება

1. აღიარებული საგადასახადო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ვირავენობის უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სახანძროლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს გადასახადის გადაამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ვარდა ღირებულებით) მიღებული

ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც სხვა პირის საკუთრებაშია ნებისმიერ ქონებას, მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას, აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობის ფარგლებში.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის, ქონებაზე ყადაღის დადება არის გადასახადის გადაამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონების აღწერა (მხოლოდ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ფარგლებში), ამ ქონების განკარგვის (გადამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვნის, ქირავენობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვა. მაგრამ არა ჩვეულებრივი საწარმოო მიზნით გამოყენებას (ვარდა რეალიზაციისთვის გამოყენებისთვის) მიზნით და სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის შესანახად გადაცემას. ქონებაზე ყადაღის დადება შემთხვევაში გადასახადის გადაამხდელს/

საკანონმდებლო სიხსენი

საკანონმდებლო სიახლენი

საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არა აქვს ამ ქონების გადაცემის, გაყიდვის, გაპირაუების, იჯარით გადაცემის ან სხვა სახით განკარგვის უფლება საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, ისიც ჩთვლილ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ამის შედეგად ამონაგები თანხის შეტანა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

3. ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე გამოსცემს ბრძანებას, რომელიც არის აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ძალაში შედის მოვალისთვის კანონით დადგენილი წესით ვაცნობისთანავე.

4. ნივთზე ყადაღის დადების შესახებ აქტს საგადასახადო ორგანო დაუყოვნებლივ უგზავნის საგარეო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს.

5. საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაავალდებულოს გადასახადის გადასმდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი, წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც გადასახადის გადასმდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს სხვებისგან ეკუთვნის. გადასახადის გადასმდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მას ვცვლია მს მონაცემი, რომელიც მისგან მოითხოვეს, მაქსიმალურად სწორად და სრულად წარმოადგინა. თუ გადასახადის გადასმდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ წარმოადგენს ქონების ნუსხას ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საგადასახადო ორგანო ამოწმებს გადასახადის გადასმდელს/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორესა და სისრულეს. გადასახადის გადასმდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ახალი ქონების შეყვანის შემთხვევაში იგი ვალდებულია არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა შეასწოროს მის მიერ წარმოდგენილი ქონების ნუსხა და საგადასახადო ორგანოს მისცეს ახალი გარანტია.

7. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი აღიარებული საგადასახადო დაეკისრება იანუბის უარგულეში ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტში.

8. ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტში უნდა აღინიშნოს:

- ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;
- ბ) ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ აქტის შედგენას;
- გ) მოვალის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი), გადასახადის გადასმდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება და განმარტებული ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);
- ე) აქტში შეტანილი თითოეული საგნის შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;
- ვ) საგანი ანდა სადგომი, რომელიც დაიდოქა, და მასზე დადებული ლუქების რაოდენობა და აღწერილობა;
- ზ) იმ პირის დასახელება, რომელსაც შეხანახად გადაეცა ქონება, და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაეკლავა;
- თ) რომ მოვალესა და ქონების შემწახველს განემარტათ მათი მოვალეობა ქონების შენახვის თაობაზე და გადაცემული ქონების გაფლანგვისათვის, გასხვისებისათვის ან გადამალინათვის პასუხისმგებლობის საკითხი;
- ი) რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ საგადასახადო ორგანოს მოქმედებათა გასაჩივრების წესი;
- კ) საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის ან/და მოვალის შენიშვნები.

სახელი მამონიშისტი

9. ფასიან ქაღალდებს ან/და ფასიან ნივთებს შესაძლოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოიღებინა საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი, თუ არსებობს ყადაღადადებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ეს ნივთები მოვალესთან რჩება, მაშინ ყადაღის დაღება ხდება დასუკეით.

10. ქონებაზე ყადაღის დაღების (აღწერის) აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ყადაღის დაღებას. თუ ამ პირებმა უარი თქვეს აქტის ხელმოწერაზე, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

11. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დაღებისას მესამე პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავის უფლებებს, ქონება შეიტანება ქონებაზე ყადაღის დაღების (აღწერის) აქტში, მაგრამ გაკეთდება სათანადო აღნიშვნა.

12. ყადაღადღებულ ნივთებს აფასებს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი. თუ ყადაღადღებულ ქონების შეფასებისას საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ვერ შეაფასებს ცალკეულ საგნებს, მოიწვევა ექსპერტი ან აუდიტი.

13. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადადევნიებას საფრთხე ემუქრება (მათ შორის, დეკლარაციების წარდგენისათვის თავის არსებობა), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დაგვიანება, მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა მოვალის ქონებას საგადასახადო დაგვიანების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ყადაღის დაღებიდან 72 საათში სახმართლოში უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა მოვალის ქონების საგადასახადო გირაუნობით/იპოთეკით დატვირთვის თაობაზე (თუ მოვალეს აქვს შესაბამისი ქონება) ან/და ქონებაზე ყადაღის დაღების დადასტურების შესახებ (თუ მოვალეს არა აქვს საგადასახადო გირაუნობით/იპოთეკით დასატვირთი ქონება ან მიხი დირებულება არასაკმარისი საგადასახადო დაგვიანების დასაფარავად). სახმართლო ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში მიიღოს განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დასაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო სახმართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ მიიღებს განჩინებას ქონებაზე ყადაღის დაღების დადასტურების შესახებ, ყადაღა მოხსნილად ჩითვლება.

14. საგადასახადო ორგანომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელ/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი მალაგს ქონებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად;

ბ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ემხადება ქვეყნის დასაცავებლად ისე, რომ არ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს და არ ახორციელებს არანაირ ქმედებას დაგვიანების დაფარვის მიზნით;

გ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ცდილობს გამოეხადოს ვაკატორებულად;

დ) არსებობს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ნაშვადი ან თვალთმაქცური გარიგებით ქონების გასხვისების რეალური საშიშროება, რომელიც გააძინებს ან შეუძლებელს გახდის მის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას;

ე) გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ერიცხება ვალდებულებული აღიარებული საგადასახადო დაგვიანება, საკუთრებაში აქვს 10 000 ლარზე მეტი და არ ფარავს დაგვიანებას.

15. ქონებაზე ყადაღის დაღებისა და ყადაღადღებულ ქონების ამოღების, შეფასებისა და შენახვის წესებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

16. მოვალის ქონებაზე დაღებული ყადაღა უქმდება:

ა) აღიარებული საგადასახადო დაგვიანების სრულად დაფარვისთანავე;

თქვენი მხარე



საკანონმდებლო სიასლენი

საკანონმდებლო
სიასლენი

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ან ვაკუტრების საქმის წარმოებისას ყადაღადადებულ ქონების დადგენილი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში;

გ) თუ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია;

დ) ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ გადასახადის ვადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ყადაღადადებული ქონების გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავლიანების დასაფარავად;

ე) ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.”.

20. 88-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოვალის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ასორტივლებს საგადასახადო ორგანო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, დია აუქციონზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას მოვალის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე სახანაორო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საგადასახადო ორგანო, რის შესახებაც იგი აუქციონის ჩატარებამდე 30 კალენდარული დღით ადრე აკეთებს განცხადებას, რომელზეც უნდა აღთქმოს:

- ა) აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;
- ბ) ქონების შესაკუთრის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი);
- გ) განსაზღვრილი ქონების დასახელება (ქონების მოკლე აღწერა);
- დ) ქონების საწყისი ფასი, რომელიც ყადაღის დადების (აღწერის) აქტში მითითებული ყადაღადადებული ნივთის შეფასებით დირებულდება;
- ე) რომ შესაძლებელია პირები, რომელთაც აქვთ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე;
- ვ) აუქციონის პირობები.”;

ბ) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ყადაღადადებული მალფუტებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ მალფუტებად საქონელზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების (ბრძანების) გარეშე. მალფუტებად საქონლად ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომლის შენახვის ვადის გასვლამდე დარჩენილია 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. მალფუტებადი საქონლის გაყიდვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის სხვა კრედიტორებს უფლება აქვთ აუქციონის ჩატარებიდან წმ კალენდარული დღის ვადაში მიმართონ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელს ადმინისტრაციული საჩივრით, რომ მათაც ჰქონდათ რეგისტრირებული გირავნობის უფლება გაყიდულ მალფუტებად საქონელზე საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის თარიღზე ადრე. ასეთი ადმინისტრაციული საჩივრის მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს 30 კალენდარული დღის ვადაში. საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაინტერესებულ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო დაინტერესებულ მხარეს გადაუხდის მალფუტებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის მთლიან ოდენობას ან მოთხოვნილ თანხას, უმცირესი თანხის მიხედვით.”.

21. 89-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ შეასრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 საუშუალო დღეში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საბანკო (ვადიანი) ანგარიშებისა), საინკასო დაევალებოთ ჩამოწ-

სახელი მკონოროსტა

ეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამისი პუნქტში”.

ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი ჩაინკასო დავალები შეიძლება შეჩერდეს:

ა) ამ კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სადავო თანხის მოცულობის ფარგლებში;

ბ) თუ, საქართველოს უინანსო მინისტრის გადაწყვეტილებით, ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია”.

22. 95-ე მუხლის:

ა) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, რომლის მიხედვით, მისი შემოსავლები, ხარჯები და საგადასახადო ავანტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი პერიოდების მიხედვით ნულის ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად”.

ბ) მე-8 ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი:

„9. ფიზიკურ პირს (სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის ვარდა), რომელიც მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვეყნებს (გარდა ამ კოდექსის 217-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის), უფლება აქვს არ წარადგინოს საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. ამ შემთხვევაში მის მიერ დათვლილ ყადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვლება საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად”.

23. 96-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო ავანტი ან სხვა ვალდებული პირი წლიური საშემოსავლო, კონტის ან მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლიდან წერილობითი შიშობის საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე და გადაიხდის იმ დროისათვის მოსალოდნელ გადასახადსაც, დეკლარაციის წარდგენის ვადა ავტომატურად გაგრძელდება 3 თვით. ამ მუხლის თანახმად საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება არ მოქმედებს გადასახადის გადახდის დროზე და არ აჩერებს გადაუსდებელ გადასახადზე საურავის დარიცხვას”.

24. 99-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. შოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო ავანტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის იმავე პერიოდში უკვე შემოწმებული საკითხის ხელახალი შემოწმება, გარდა ამ საკითხებისა, რომელთა მიხედვით, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო ავანტი ან სხვა ვალდებული პირი უკვე შემოწმებული პერიოდის გადასახადებზე შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენს”.

25. 101-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 103. საბანკო ანგარიშების გახსნისას ბანკების მიერ ინფორმაციის წარდგენა 1. ბანკი ან საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და საწარმოს/ორგანიზაციის გაუხსნის საბანკო ან/და სხვა ანგარიში მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

საკანონმდებლო ასამბლეა



საკანონმდებლო სიასი

საკანონმდებლო
სიასი

ბ) უცხოური საწარმოსათვის საბანკო ანგარიშის გახსნას ან დახურვისას (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) აღნიშნულის თაობაზე 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომლის მიერ ინფორმაციის მიღებამდე უცხოური საწარმოს ანგარიშიდან არ განახორციელდეს გასაგდის ოპერაციები. გარდა ამისა, უცხოური საწარმოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას უცხოური საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომრის ანდა მუდმივი დაწესებულების ფაქტობრივი მისამართის შესახებ (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს ან ანგარიშის გამხსნელმა პირმა ეს ინფორმაცია წარუდგინა ბანკს);

გ) 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს გადასახადის გადასმდელისათვის აღნიშნული ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გადასახადის გადასმდელის ანგარიშიდან არ განახორციელდეს გასაგდის ოპერაციები;

დ) გადასახადის გადასმდელის ანგარიშიდან არ განახორციელდეს გასაგდის ოპერაციები დოკუმენტებში გადასახადის გადასმდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ვადისა და პირობების დაცვით, აცნობოს მხოლოდ ამ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების პირველად გახსნილი ანგარიშის ან ყველა ანგარიშის დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ასეთ პირველად გახსნილ ანგარიშზე გამოწერილი ღირებულების დაგეგმვაზე ავტომატურად გაავრცელოს ბანკში არსებულ აღნიშნული პირების ყველა ანგარიშზე.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის ცნობება ხდება წერილობითი შეტყობინების საგადასახადო ორგანოში ჩაბარებით, მაშინ მისი დამოწმება სტრუქტურულად საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ შეტყობინების მომრე ეგზემპლარზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო საგადასახადო ორგანოსა და საწარმოს წარმომადგენლის შეტყობინების 2 სამუშაო დღის ვადაში დაუმოწმებლობის შემთხვევაში შეტყობინება ავტომატურად ითვლება დამოწმებულად, შესაბამისად, ბანკს უფლება აქვს განახორციელოს ამ ანგარიშიდან გასაგდის ოპერაციები. ამასთანავე, შეტყობინება ჩაბარებამდე ითვლება საგადასახადო ორგანოში კორესპონდენციის მიღება და/ან ვაჭარზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი ბეჭდით დამოწმება.

26. 103-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოყებს საეკონომიკურ ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულია, მაშინ საკონტროლო შესყიდვის ოქმის საფუძველზე ოპერაცია ექვემდებარება გაუქმებას (შესყიდული საქონელი უბრუნდება გამყიდველს, ხოლო გადასხდილი ფული – მყიდველს).“

27. 113-ე მუხლის:

ა) მე-1 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გვერდური გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, რის თაობაზეც გადასახადის გადასმდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღისა, ხოლო შემოწმება უნდა დაიწყოს გადასმდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დასაბუთებული მიზეზებით შეუძლებელი ხდება შემოწმების დაწყება, შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე ცნობება გადასმდელს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გვერდური გასვლითი საგადასახადო შემოწმების საფუძველი და საკანონმდებლო შემოწმების საყარადო დრო.“

ბ) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საკანონმდებლო

საკანონმდებლო სიასტემა

„7. ნახევლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით. ავცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციას უფლება აქვს ეს ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 1 თვით. საჭიროების შემთხვევაში შემოწმების 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემოწმების ვადის დაპატივით გაგრძელება არა უმეტეს 2 თვით იმ საწარმოში, რომლის ერთობლივი შემოსავალი წინა 3 კალენდარული წლიდან ერთი წლის განმავლობაში მაინც აღემატებოდა 20 მილიონ ლარს.“

28. 124-ე მუხლის დამატების შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. თუ დადგინდა, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11 ნაწილის საფუძველზე დამტკიცებული ინსტრუქციის დებულებები ეწინააღმდეგება ამ კოდექსის დებულებებს და გადასახადის გადახედვლას ინსტრუქცია ასეთი ინსტრუქციის დებულებებით, რაც ამ კოდექსის თანახმად იწვევს ხანკეციის დაკისრებას, მაშინ მის მიმართ აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება.“

29. 127-ე მუხლის:

ა) მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა საქმის განხილვის მსახულზე დაყრდნობით საგადასახადო ინსპექციის უფროსის/მოადგილე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით. ბრძანება უნდა შეიცავდეს:

- ა) ბრძანების გამოძევაში საგადასახადო ინსპექციის დასახელებას;
- ბ) საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირის სახელს, გვარს და ხელმოწერას;
- გ) ბრძანების გამოცემის თარიღსა და ადგილს;
- დ) საგადასახადო ინსპექციის ხარვესტრაციო ნომერს;
- ე) თუ სანქცია გამოიყენება - საგადასახადო კანონმდებლობის ნორმას, რომლის საფუძველზედაც გამოიყენება გადასახადის გადახედვის/სხვა ვალდებული პირის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქცია. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ოქმში არასწორად არის მითითებული ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიყენება სანქცია, ბრძანებაში უნდა აისახოს შესაბამისი ნორმები და მათ საფუძველზე გაანგარიშებული თანხები (თუ ავცილებელია თანხის კორექტირება);
- ვ) საქმის განხილვისას დადგინდეს გარემოებათა გადმოცემა;
- ზ) თუ სანქცია გამოიყენება - გამოსაყენებელი სანქციის ოდენობას;
- თ) ნაღებული გადაწყვეტილების შინაარსს;
- ი) თუ სანქცია არ გამოიყენება - სანქციის გამოყენებლობის დასაბუთებას;“;
- ბ) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გადასახადების ან/და საგადასახადო სანქციის გამოყენების თაობაზე საგადასახადო ინსპექცია აქტის შედგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს ერთიან გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით.“

30. 129-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საურავის დარიცხვა ხორციელდება საგადასახადო დაფლიანების წარმოქმნის მომდევნო კალენდარული დღიდან თითოეული ვიდეოკამერის/ვიდეოკამერის დაფლიანების, „საგადასახადო მოთხოვნის“ წარდგენის ან წარუდგენლობის მიუხედავად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თუ საურავის დარიცხვის ყალბობის ვადის დადგომის შემდეგ გადახედული გადასახადის გადასახადის ძირითადი თანხის ნაწილს, გადასახადის მომდევნო კალენდარული დღიდან საურავის დარიცხვა გაგრძელდება საგადასახადო დაფლიანების ეფექტობრივად დარჩენილ ნაწილზე.“

31. 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხელფასის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის (ასეთ პირებს შორის თანამდებობით (რანგით) ყველაზე მაღლა მდგომის, მეწარმე ფიზიკური პირის გარდა) მიერ ხელფასიდან დასაკავებელი ან/და გადასახადული საშემოსავლო გადასახადის დაუკავებლობა ან/და ბი-

საკანონმდებლო სიასტემა



საკანონმდებლო სიხლენი

საქართველო
საარჩევნო
სისტემა

უკვეში გადახდის მოვალეობის შეუსრულებლობა, - იწვევს დაჯარიმებას „საინფორმაციო ხელფასის ორმოცდაათმაგი ოდენობით“.

32. 137-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 137. საგადასახადო ორგანოსათვის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობა

1. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობა, ასევე არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენაზე უარის თქმა, აგრეთვე აღნიშნული დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის თავის არიდება, - იწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული ქონების ნუსხის გონარეულ ველაში წარუდგენლობა ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარდგენილ წარდგენას, თუ ასეთი წარუდგენილი ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარდგენილი ქონების ღირებულება აღემატება მთელი ქონების 5%-ს, - იწვევს დაჯარიმებას წარუდგენილი ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარდგენილი ქონების ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საგადასახადო დაჯარიმების ორმაგი ოდენობისა“.

33. 139-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-4 ან/და მე-10 ნაწილით/ნაწილებით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - იწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემდეგ, ამ მუხლის მე-4 ან/და მე-10 ნაწილით/ნაწილებით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 500 ლარის ოდენობით“.

34. 141-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 141. გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დაგალებსა და გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადახდო დაგალების შესრულების ვადის დარღვევა

1. საბანკო ანგარიშებზე ფულადი ხსხრების არსებობისა ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დაგალების ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადახდო დაგალების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ველაში შეუსრულებლობა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, - იწვევს დაჯარიმებას ანგარიშზე არსებული ფულადი ხსხრების ამ ნაწილის 10%-ის ოდენობით ყოველი დაგვიანებული კალენდარული დღისათვის, რომელიც ექვემდებარებოდა საინკასო/საგადახდო დაგალებით მოთიხნად ან ნაწილობრივ შესრულებას.

2. საბანკო ანგარიშებზე ფულადი ხსხრების არსებობისა ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დაგალების ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადახდო დაგალების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ველაში შეუსრულებლობა, კერძოდ, სხვა მიმართულებით ფულადი ხსხრების გადარიცხვა, - იწვევს დაჯარიმებას სხვა მიმართულებით გადარიცხული თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არა უმეტეს საინკასო/საგადახდო დაგალებაში მითითებული თანხის ოდენობისა“.

35. 142-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სახლი 38

საკანონმდებლო სიხლენი

„1. ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ გადასახადის გადახდელისათვის/სავადასახადო აგენტისათვის საბანკო ანგარიშების გახსნა იმ დოკუმენტების წარდგენის გარეშე, რომლებითაც დასტურდება სავადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადახდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (ნაგდა უცხოური საწარმოსა და ფიზიკური პირებისა, რომლებიც არ ეყვანიან ეკონომიკურ საქმიანობას), აგრეთვე გადასახადის გადახდელის/სავადასახადო აგენტის ანგარიშებზე ოპერაციების შეხერხების ან საინკასო დავალების წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების არსებობისას ამ გადასახადის გადახდელისათვის სხვა ანგარიშის გახსნა, - იწვევს დაჯარიმებას გადასახადის გადახდელის/სავადასახადო აგენტის ანგარიშებზე შესრულებული გასაგელის ოპერაციების თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 21 ნაწილი:

„21. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანგარიშების თაობაზე საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის (შუქრობიების) წარდგენამდე ან მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გასვლის წარმოება, - იწვევს დაჯარიმებას გასაგელის ოპერაციის თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.“;

გ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. გადასახადის გადახდელის/სავადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშიდან თანხების ჩამოწრისა და ბიუჯეტში გადარიცხვას თაობაზე გადასახადის გადახდელის/სავადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სავადხედო დავალების ან სავადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დროულად შესრულებლობის შემთხვევაში, თუ გადახდელი წერილობით მიმართავს სავადასახადო ორგანოს, ოგი ვალდებულია ბანკის ამ მოქმედების შედეგად გადახდელი-სათვის დაკისრებული საურავი ამავე ოდენობით დაარიცხოს ბანკს. ასეთ შემთხვევაში გადასახადის გადახდელს/სავადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ხაჩკია არ დაეკისრება.“;

36. 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღების, შენახვის ან მიწოდების ყველა ეტაპზე) არა უგვიანეს 45 კალენდარული დღისა, საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოფლენის შემთხვევაში, ხოლო სხვა ქვენიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემტანისას - საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოფლენის შემთხვევაში გადასახადის აღმხდელს/სხვა ვალდებულ პირს გადასცემა შესაბამისად საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე ან საბაჟო კანონმდებლობით ათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოფლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დირეგულება საბაჟო ფასებით დღ-ის გარეშე (ხოლო აქციზის გადახდელს/სხვა ვალდებულ პირს - აქციზისა და დღ-ის გარეშე). აღნიშნული ხაჩკია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე არსებობს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები ან სავადასახადო ანგარიშ-შეაქტურა.“;

37. 147-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდი უნდა დაინომროს და საჩივრის ბოლოში, ხელის მოწერამდე ხიტყვიერად უნდა მიეთითოს შევსებული ფორცლები-ს საერთო რაოდენობა.“;

4. მთავე მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდზე.“;

38. 157-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადახდელს/სავადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 156-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ

საკანონმდებლო



საკანონმდებლო სიასლენი

საკანონმდებლო სიასლენი

შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადამწერილობა (ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარი, თუ მან ამ კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო ეს გადაწყვეტილება (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), განსაზღვროს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საბჭოში მან წარდგინდეს სახიფარსო უნდა დაუროს ამგვარ სამსახურისათვის წარდგენილი ყველა მსახურის ასლები და დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში;

ბ) სასამართლოში (ასეთ შემთხვევაში მოპასუხე ამ კოდექსის 147-ე ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო).

39. 158-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო დავას თავის სხდომაზე იხილავს სახიფაროს მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომა/სხდომები. თუ საბჭო დაასკვნის, რომ ხათახადო არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, იგი უფლებამოსილია განსაზღვრავდეს გადაწყვეტილების მიმღებ საგადასახადო ორგანოს დაევალოს,

განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საბჭოს მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი. აღნიშნულ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება საჭირო და ვადის თითოეული გაგრძელებისას - არა უმეტეს 15 სამუშაო დღით.“

40. 167-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 167. გადასახადის განაკვეთი ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 25%-ით.“

41. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საბეგრელოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი და დაქირავებული ფიზიკური პირისათვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;“

ბ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი მინაბრუნის „ა“ ქვეპუნქტი:

„ა) ფიზიკური პირის (I რიგის მეკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა მის ან მამკვიდრებლის მიერ სამწარმოო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული 2-წლიანი ვადა და „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ უპირავე ქონების რეალიზაციის შემთხვევაში იანგარიშება ამ ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.“

42. 171-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15%-ით, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

43. 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დაქირავებულის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საშუალო საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას - საბაზრო განაკვეთით გადასახადო პროცენტის შესაბამისი თანხა;“

44. 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არაჩამოწარმოო საქმიანობისთვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი.“

45. 181-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სახალი ეპონომისტი



„2. ბანკები და საკრედიტო კავშირები ხესხების შესაბამის დანაკარგების რეზერვების გამოქვეყნებას ახორციელებენ საეჭვო ვალდების რეზერვების შექმნის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.“

46. XXVII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსავლების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან“.

47. 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადასივლების სტრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები - 4%-ით.

აღნიშნული განაკვეთით იბეგრება აგრეთვე არარეზიდენტების მიერ ქონების ღირსებით გაცემიდან მიღებული შემოსავლები და „ნაეთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაეთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი“.

48. 204-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. ბანკები ხესხებზე დარიცხული პროცენტების შემოსავლად აღიარებას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.“

49. 217-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ფიზიკური პირები ვალდებული არიან აწარმოონ შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვა. ამასთანავე, 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ფიზიკურ პირებს ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენა არ ევალებათ.“

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს.“

გ) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პირი ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით წარადგენს დეკლარაციას საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.“

დ) მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამ მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა უძრავი ნივთის ჩუქვებით ან/და შემეკიდრეობით მიღებისა), მარეგისტრირებული ორგანო მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე ვალდებულია ქონების ჩუქვებით ან/და შემეკიდრეობით მიღებულ ფიზიკურ პირს აცნობოს საგადასახადო ანგარიშგების და გადასახადის გადახდის ვალდებულების, აგრეთვე მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თაობაზე.“

50. 218-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირი, რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს“;

ბ) მე-3 ნაწილის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საკანონმდებლო სიხსლენი



საპანონმდებლო სიახლეები

ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისთვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში - შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს, აგრეთვე ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შემოსავლის მიხედვით პირს, ჩიხი მოთხოვნისამებრ, გაუგზავნოს ცნობა ამ პირის სარეგისტრაციო ნომრის, მისი დასახელების ან გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით.“

გ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგადასახადო აგენტი ვალდებულია ეროველიყოფად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, ამავე ნაწილის მიხედვით განხორციელებული განაცემების დაბეგრასთან დაკავშირებით დეკლარაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დეტალურად ფორმითა და წესით.“

51. 219-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ გადასახადის გადამხდელის მიმდინარე საგადასახადო წლის მოხალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) არანაკლებ 50%-ით მცირდება გასული საგადასახადო წლის შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და აღნიშნულის შესახებ იგი მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადაზე, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის პირველი ნაწილით, 15 კალენდარული დღით ადრე აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელის თანხები. ამასთანავე, თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დატურდება მოხალოდნელი დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ 50%-ით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაიხდია მიმდინარე გადასახდელის, ჩან უნდა გადაიხადოს საურავი ამ კლდექის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.“

52. 220-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე.“

53. 221-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზურ საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ხასიათის ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდებისა), იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.“

ბ) მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. რეორგანიზაციისას, თუ პირი ან რეორგანიზაციის ერთ მხარე მაინც არის დღგ-ის გადამხდელი, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დახრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.“

6. საწარმოს საწყისებში (საემისო) კაპიტალში დღგ-ის გადამხდელის მიერ შენატანის საქონლის ფორმით განხორციელებისას აღნიშნული საწარმო ვალდებულია რეგისტრაციაში გატარდეს დღგ-ის გადამხდელად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.“

ახალი მართვის



54. 222-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში, გადასახადის გადასხდელად ითვლება მის მიერ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში დაფიქსირებული თარიღიდან, მაგრამ არა უგვიანეს ამ კოდექსის 221-ე მუხლით განსაზღვრული ვადებისა.“

55. 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირი გაატაროს დღე-ის გადასხდელთა რეგისტრირება და მიხედვს მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის სარეგისტრაციო სერტიფიკატი განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.“

56. 225-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:

ბ) დასაბეგრი დროებით შემოტანა ამ კოდექსის 2411 მუხლის მიხედვით;“

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბრუნავი (მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამოიწველი) დასაბრუნებელი ტარის ღირებულება არ შეიტანება გადასახადით დასაბეგრ თანხაში, გარდა საცალო ვაჭრობისა, სხვათა დასაბეგრი ბრუნავი მცირდება იმ თანხით, რომელსაც გამყიდველი უხდის მომხმარებელს ტარის დაბრუნების დროს. თუ აღნიშნული ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი რეალიზებულად ჩაითვლება და დაიბეგრება ამ კოდექსით დადგენილი წესით.“

57. 226-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დებულება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატვირთავენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ.“

58. 228-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გაუქმებული დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციისას დღე-ის გადასხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებულ განისაზღვრულ საქონლის არსებულ ნიშნულზე.“

59. 230-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) იმ საქონლის იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცირე რაოდენობის ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მხარეა ქვემოთ არის ჩამოთვლილი; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ტენა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცირე რაოდენობის ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; ტემპის და საპროდუქტო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილადენების შესახებ, შესრულების შესახებ უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანა; საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროებით შემოტანა;“

გ) „ა1“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „ა1“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა2“ ქვეპუნქტი:

„ა2) სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურის 8802

11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00, 8802 40 100 00 შესაბამის კოდებში

თბილისი, 2007 წლის აპრილის 11



აღნიშნული საქონლის ან/და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით მათთვის (სამოქალაქო აფიციისათვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი.

60. 231-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოხსენისათვის, საქონლის ექსპორტის მიმართ დღეის ნულოვანი განაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, როდესაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ.“

61. კოდექსის დაშტატის შემდეგი შინაარსის 2371 მუხლი:
„მუხლი 2371. უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის/მომსახურების მიწოდების დაბეგვრა

1. საქართველოს საქონლის მიწოდება უბაჟო ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის იბეგვრება დღე-ის ნულოვანი განაკვეთით.
2. უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდება, აგრეთვე კვების მომსახურების მიწოდება იბეგვრება დღე-ის ნულოვანი განაკვეთით.“

62. კოდექსის დაშტატის შემდეგი შინაარსის 2411 მუხლი:
„მუხლი 2411. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის დაბეგვრა

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, საქართველოს საბაჟო კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადახდევინება დღე-ის იმ თანხის 3%, რომელიც გადაიხდებიდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, სანგარიშში თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.

2. საბაჟო ორგანო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაცემს საბაჟო ორგანოში დარიცხული დღე-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად.“

63. 247-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი მფიდველის (ხათვლის მიმღების) მიერ დღე-ის საანგარიშო პერიოდის დაშტატებიდან არა უგვიანეს 45 კალენდარული დღისა, ამასთანავე, თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების წარდგენის პერიოდი იჭურება შესაბამის თვეში დღე-ის დეკლარაციის წარდგენის ვადაზე, – მათში არა უგვიანეს აღნიშნული ვადისა.“

64. 253-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:
„ე) ეხორციელებს აქცეზური საქონლის დროებითი შემოტანის საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ დროებითი შემოტანაზე.“

65. 254-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:
„გ) დასაბუერი დროებითი შემოტანა ამ კოდექსის 2551 მუხლის მიხედვით.“

66. კოდექსის დაშტატის შემდეგი შინაარსის 2551 მუხლი:
„მუხლი 2551. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის დაბეგვრა

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, საქართველოს საბაჟო კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადაიხდევინება აქციზის იმ თანხის 3%, რომელიც გადაიხდებიდა საქონლის დროებითი შემოტანის საბა-

ახალი კანონისათ



ყო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, სანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა - საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.

2. საბაჟო ორგანო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაცემს საბაჟო ორგანოში დარიცხული აქციზის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც თვალყურს ახედებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად.

67. 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის მოხსენისათვის, ნულოვანი განაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ სანგარიშო პერიოდისათვის, რომლისთვისაც გადასახადის გადახდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული აქციზის თანხის მოწოდებისათვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტირებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა სხვა პირის მიერ წარმოებული სხვა აქციზური საქონელი (ხელშეკრულება);

ბ) საბაჟო დეკლარაციის საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ;“.

68. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2591 მუხლი:

„მუხლი 2591. უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდების დაბეგრვა საქართველოს საქონლის მიწოდება უბაჟო ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის იტვირთვა აქციზის ნულოვანი განაკვეთით.“.

69. 263-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აქციზით დასაბეგრი ობიექტების (გარდა ექსპორტისა და უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდებისა) ან/და იმპორტის (გარდა უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მიდსაღვნიების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი, ამ კოდექსით აქციზური მარკების საყვარელად დართვას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტისა) განხორციელებამდე აქციზური მარკის საყვარელად დართვას ექვემდებარება;

ა) ალკოჰოლიანი ხსნაშენები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრამუსს (გარდა 50 გრამისა და მასზე ნაკლები ტევადობის და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმულისა, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრამდე ალკოჰოლიანი ხსნაშენის იმპორტისას);

ბ) თამბაქოს ნაწარმი (გარდა მოხაწევი (ჩიბუხის) თამბაქოსი, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ 200 გრამამდე სიგარეტის იმპორტისა).

2. აკრძალულია:

ა) აქციზური მარკით ნიშნდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ობიექტების (გარდა ექსპორტისა და უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდებისა) ან/და იმპორტის (გარდა უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მიდსაღვნიების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი, ამ კოდექსით აქციზური მარკების საყვარელად დართვას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტისა) განხორციელება;

საკანონმდებლო სიხსენი



ბ) ჩამოსახსნელი ან/და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული ყველი მოლიანი სახმელების (გარდა ღუფისა და ღვინისა) ხიცილო ქსელში მიწოდება;

70. 265-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ამ კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა.“

71. XII კარი ამოღებულ იქნეს.
72. 2705 მუხლის:

ა) „ბ“, „გ“, „დ“, „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დავიდატოს შემდეგი შინაარსის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები:
„რ) ამ კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა;“

ს) საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო დამუშავების ოპერაციები საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის ექსპორტისა, იმპორტისა და დროებითი შემოტანისა), აგრეთვე უბაჟო ევტრობის პუნქტში საქონლის განთავსება.“

73. 281-ე მუხლის:

ა) მე-18 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. 2009 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდენ ფიზიკური პირები ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე.“

ამასთანავე, ამ ობიექტებზე, თუ ისინი გამოყენებულია დამპირაგებლის (მოიჯარის) მიერ სამწვანო საქმიანობისათვის, ქონების გადასახადის სავალდებულება ეყისებება დამპირაგებელს (მოიჯარეს) ამ კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აღვლილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი განაკვეთით.“;

ბ) მე-20 ნაწილის შემდეგ დავიდატოს შემდეგი შინაარსის 21-ე, 22-ე და 23-ე ნაწილები:

„21. მიწაზე ქონების გადასახადის გადასხდელ ფიზიკურ პირებს და ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შეუწყვეთ სავალდებულება ვალდებულებები 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული ქონების გადასახადის ვალდებულებებზე და ვალდებულებათა თანხებზე და მათზე დარიცხულ ხანძრებზე და სავალდებულებო ორგანიზებმა აღნიშნულ ვალდებულებათა (მათ შორის, საურავების) ჩამოწერა განახორციელონ გადამხდელის პირად ბარათზე ასახვით, ამ კოდექსის 92-ე მუხლის აუთვალისწინებლად.“

22. ამ კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული გარდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ვალდებულებული სავალდებულებო ვალდებულებათა ჩამოწერება იმ გადასახადის გადასხდელს (თუ გადასახადის გადასხდელს ჩამოწერა ვალდებულებული სავალდებულებო ვალდებულებათა და აგრეთვე ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ მის მიმართ განახლდება ჩამოწერილი სავალდებულებების მოქმედება, საურავის დარიცხვა და ჯარიმის დაკისრება), თუ მისთვის არსებობს ერთ-ერთი შემდეგი წინაპირობა:

ა) საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ამასთანავე, ამ გადასახადის გადასხდელს არ განუხორციელებია სავალდებულებო ანგარიშგება (დეკლარაციების ან/და განანგარიშებების წარდგენა) და სავალდებულებო ვალდებულებების შესრულება ბოლო 6 კალენდარული წლის განმავლობაში;

ბ) გადასახადის გადასხდელი არის ლიკვიდირებული საბიუჯეტო ორგანიზაცია;

გ) იურიდიული პირის ლიკვიდაცია განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და იგი ამოიშალა სამწვანო რეესტრიდან.

23. 2011 წლამდე სამემოსავლო გადასახადის განაკვეთი ფიზიკური პირის დასახებრ შემოსავალზე (მათ შორის, გრანტით მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემულ ანაზღაურებებზე და საქართველოში არსებული, დიპლომატიური

საბაჟო კოდექსის 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის



სტიტუტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემულ ანაზღაურებაზე შეადგენს 12%-ს, გარდა:

ა) დაქირავებული ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების; ბ) შეწარმე ფიზიკური პირის ან/და ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირის (ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად) მიერ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობით მიღებული დახაბეგრი შემოსავლისა;

გ) ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა, საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ან შეწარმე ფიზიკური პირისათვის მომსახურების გაწევით მიღებული ანაზღაურება ან ხარჯებისა;

დ) ამ კოდექსის 195-ე, 196-ე და 197-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მუხლი 2.

ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3, მე-6 და მე-8 ნაწილებისა, მე-20 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, 23-ე, 31-ე, მე-40, 41-ე, 42-ე, 71-ე და 74-ე ნაწილებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

